პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 29-ე წელი

პარასკევი, 18 თებერვალი, 1949 წ. № 35 (8338). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები ახალი ამოცანების წინაშე — მოწინავე (1-ლი გვერდი).
საქართველოს სს რესპუბლიკამ შეასრულა ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების გეგმა (1-ლი გვერდი).
იაროსლავლის საოლქო პარტორგანიზაციაში პარტიული განათლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ (1-ლი გვერდი).
სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით (1-ლი გვერდი).
კოლმეურნე ხალხის წერილი ამხანაგ სტალინს (მე-2 გვერდი).
სერგო ორჯონიკიძე (მე-3 გვერდი).
პრინციპული ბოლშევიკური კრიტიკისათვის (მე-3 გვერდი).
პატრიოტული ფილმი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეტაბები (მე-4 გვერდი).

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები ახალი ამოცანების წინაშე

ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოები დიდ მუშაობას უწევენ პარტიისა და მთავრობის ყველა დავალებათა წარმატებით შესასრულებლად. მათი ამოცანები განსაკუთრებით იზრდება ამჟამად საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადწყვეტილებებთან დაკავშირებით.

ქართველმა ხალხმა მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად მძლავრი შემოქმედებითი მუშაობა გაიჩაღა ახალი სტალინური ხუთწლედის განხორციელებისათვის. სხვა დიდ სამუშაოთა პარალელურად განახლდა საქართველოს ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობის სამუშაოებიც. დიდი სამშენებლო სამუშაოები მესრულდა რესპუბლიკის დედაქალაქში. თბილისის კეთილმოწყობის ტემპი დღითი დღე ძლიერდება. საქალაქო მეურნეობის განვითარების საქმეში დიდი წარმატება აქვს მოპოვებული აფხაზეთსაც. პარტიის საოლქო კომიტეტისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს უშუალო ხელმძღვანელობის შედეგად სავსებით იცვალა სახე სოხუმმა და იგი ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი გახდა. საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა მაღალი შეფასება მისცა ქუთაისის, ბათუმის, ფოთისა და სტალინირის საქალაქო კომიტეტებისა და შრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობასაც. ისინი ეფექტიანად და მიზანშეწონილად იყენებენ იმ სახსრებს, რაც მათ ახალი მშენებლობისათვის და საქალაქო მეურნეობის გასაუმჯობესებლად ეძლევათ. სერიოზული შუამობა ჩატარდა ქ. გორის კეთილმოწყობის მხრივ. მაგრამ გორის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ვერ შეძლეს მთლიანად გამოყენებინათ მიცემული სახსრები და მასალები, საქალაქო მშენებლობა უზრუნველყოთ მუშახელით. სამწუხაროდ, ასეთი მდგომარეობაა საქართველოს მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებშიც.

საქალაქო მშენებლობისა და რაიონული ცენტრის კეთილმოწყობის სანიღმოდ დაყენება ადგილობრივი საბჭოების ფვიძლი საქმეა. თა ამ მხრივ ზოგან სერიოზული ნაკლოვანებებია, ეს იმის შედეგია, რომ აღმასკომები არ იჩენენ საკმაო ინიციატივას, მუშაობაში არ იზიდავენ საბჭოების დეპუტატებს და აქტივისტებს, ნაკლებად აკავლენენ ადგილობრივ გამოყენებულ რესურსებს კეთილმოწყობის განვითარებისათვის. კარგი იქნება, თუ მოწინავე საქალაქო და რაიონული საბჭოების მუშაობას ადგილზე გაიცნობიან საქართველოს დანარჩენი ქალაქებისა და რაიონული საბჭოების აღმასკომები და გამოიყენებენ მათს გამოცდილებას.

პარტიისა და მთავრობის მუდმივი მზრუნველობის შედეგად უკანასკნელ წლებში ფართოდ განვითარდა ადგილობრივი მრეწველობა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში. მიუხედავად ამისა, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საგრძნობმა ნაწილმა ჯერ კიდევ ვერ შეძლო მტკიცედ აეღო ხელში ადგილობრივი მრეწველობისადმი ხელმძღვანელობა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ბევრ აღმასკომს მაინც და მაინც არ აინტერესებს ადგილობრივი მრეწველობის ცალკეული დარგების მუშაობა, იშვიათად ამოწმებს, თუ როგორ ასრულებენ ისინი გეგმებს, არ იხილავს საკითხს აღმასკომების სხდომებსა და სეხეებზე. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ადგილობრივი მრეწველობის მთელი რიგი დარგები ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში არამც თუ ვერ ასრულებენ გეგმებს, არამედ ამცირებენ კიდეც სხვადასხვა მასალის ან ასორტიმენტის გამოშვებას ნედლეულის უქონლობის მოტივზეზებით.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე აღინიშნა, რომ საკავშირო ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა მოუქნელობის, აგრეთვე ვაჭრობის სამინისტროს მხრივ არასაკმაო ხელმძღვანელობის მიზეზით, საკავშირო ქსელი ბევრ შემთხვევაში ცუდად უწევს მომსახურებას მოსახლეობას. თუ ადგილებზე საკავშირო ქსელი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, ეს იმის შედეგიც არის, რომ საბჭოები ნაკლებად იბრძვიან ვაჭრობის გაუმჯობესებისა და საქონელბრუნვის გაფართოებისათვის.

ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში პარტიის ყრილობაზე აღნიშნა, რომ „ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე მოვალენი არიან გაატარონ რადიკალური ზომები საბჭოთა ვაჭრობის მთელი საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის“. ამ მითითების შესასრულებლად საჭიროა ადგილობრივმა ორგანოებმა მთელ თავიანთ საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საკავშირ ქსელის გაფართოების, საქონლის ასორტიმენტის გადიდებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. საკავშირ აპარატი და მისი ქსელი უნდა განვამტკიცოთ პატიოსანი და კეთილსინდისიერი ადამიანებით, მივაღწიოთ დახლის მუშაკების მიერ მოსახლეობის კულტურულად მომსახურებას.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის ზრუნვა ადგილობრივი საბჭოების ერთ-ერთი სერიოზული ამოცანა. ამ საქმეში საქართველოს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებიკებს მოპოვებული აქვთ მნიშვნელოვანი მიღწევები, მაგრამ „ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები ი.ავიანთ შესაძლებლობებს მთლიანად რომ იყენებდნენ, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე ჩვენში გაცილებით უკეთ იქნებოდა დაყენებული“ (კ. ჩარკვიანი).

რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული რაიონში საეკიმო პუნქტების, საავადმყოფო-პოლიკლინიკების და მთელი მედპერსონალის სანიმუშო მუშაობა. მაგრამ იმის გამო, რომ ხშირ შემთხვევაში აღმასკომები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა და ადგილობრივ სამკურნალო დაწესებულებათა მუშაობას, ინიციატივა შემოწმების შედეგებს აღმასკომისა და სესიათა სხდომებზე, სახავდნენ ღონისძიებებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ასევე სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს ადგილობრივი საბჭოების მხრივ სახალხო განათლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საკითხები.

დიდ ამოცანებს აკისრებს რაიონულ და სასოფლო საბჭოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საგაზაფხულო თესვისათვის კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მზადების მიმდინარეობის შესახებ“. კოლმეურნეთა მტკიცედ დარაზმვა მთავრობისა და პარტიის ამ ისტორიული დადგენილების განუხრელად განხორციელებისათვის ყოველი საბჭოს, თვითეული დეპუტატისა და საბჭოთა აქტივისტის ღირსების საქმეა.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ საქართველოს მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურის შემდგომი ზრდის გრანდიოზული ამოცანები დასახა. ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილი წერილით საქართველოს ბოლშევიკებმა ქართველი ხალხის სახელით უდიდესი ვალდებულებანი იკისრეს. ამ ვალდებულებათა ბოლშეიკურად შესასრულებლად ადგილებზე უკვე გაშლილია თავდადებული მუშაობა. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები მოწოდებული არიან პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით სათავეში ჩაუდგნენ მასების შრომითი აქტივობის და ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაძლიერებით ახალი წარმატებანი მოიპოვონ სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

იაროსლავლის საოლქო პარტორგანიზაციაში პარტიული განათლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა საკავშირო კ. პ. (ბ) იაროსლავლის საოლქო კომიტეტის ანგარიში პარტიული განათლების მდგომარეობის შესახებ და მიიღო დადგენილება „იაროსლავლის საოლქო პარტორგანიზაციაში პარტიული განათლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად პარტიული განათლება იაროსლავლის პარტიულ ორგანიზაციაში მიმდინარე სასწავლო წელს გაუმჯობესდა: კომუნისტების ძირითად მასას მოიცავენ პარტიული განათლების სხვადასხვა ფორმები, სასწავლო წელი პოლიტსკოლებსა და წრეებში დროზე და ორგანიზებულად დაიწყო, გაძლიერდა კომუნისტთა ინტერესი მარქსისტულ-ლენინური სწავლისადმი.

ამასთან ერთად საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ იაროსლავლის საოლქო პარტორგანიზაციის პარტიული განათლების ქსელის მეშუამბეში ჯერ გადაუჭრელია მთავარი ამოცანა — ყველა სკოლისა და წრის უზრუნველყოფა კვალიფიციური პროპაგანდისტული კადრებით და ამით მეცადინეობის მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონის უზრუნველყოფა. ხელმძღვანელობა პროპაგანდისტებისადმი და განსაკუთრებით მეთოდური დახმარება მათთვის საოლქო კომიტეტის მხრივ არასაკმაო. პროპაგანდისტთა სემინარებში პროპაგანდისტებისათვის თეორიულ და მეთოდურ დახმარებას ხშირად ცვლიან ნაკლებკვალიფიციური ლექციების წაკითხვით, ზერელე რჩევა-დარიგებებით. ამის შედეგად ბევრი პროპაგანდისტის მუშაობის ხარისხი არ შეეფერება პარტიული განათლებისათვის წაყენებულ გაზრდილ მოთხოვნებს. პროპაგანდისტები ხშირად სკოლებსა და წრეებში მასალის ფორმალურ-სკოლური შესწავლის გზაზე უხვევენ. ცოცხალი საუბარსა და შესასწავლი საკითხების განხილვის ნაცვლად ხელოსანა და ზრუნავენ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს საქართველოს სს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე თავისუფლად გაყიდონ ციტრუსოვანთა ნაყოფი (მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალი). (საქდესი).

კურ თვითგანათლებაზე მუშაობს. პარტიული კაბინეტები არასაკმაოდ ეხმარებიან თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთ. სუსტად არის გაჩაღებული ლექციური პროპაგანდა პოლიტიკური თვითგანათლების დასახმარებლად, განსაკუთრებით სოფელ რაიონებში. პარტიული ორგანიზაციები ხშირად იყენებენ, რომ დამოუკიდებლად სწავლის მაღალი ხარისხი შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ კომუნისტებისადმი ინდივიდუალური მიდგომით, თვითეული მათგანის მომზადების და იდეიურ მოთხოვნათა დონის გათვალისწინებით.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი და ცენტრალური პრესა ნაკლებად ეხმარება პროპაგანდისტებს და მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთ. გაზეთი „სეკვირნი რაბოჩი“ იშვიათად ბეჭდავს პროპაგანდისტების დასახმარებლად სტატიებსა და კონსულტაციებს მეთოდურ საკითხებზე. საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციები სუსტად ანზოგადებენ და უწევენ პოპულარიზაციას პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობის გამოცდილებას. ცენტრალური პარტიული პრესა — გაზეთები „პრავდა“ და „კულტურა ი ჟიზნი“ ნაკლებად ბეჭდავენ სტატიებსა და კონსულტაციებს თეორიულ საკითხებზე და არასაკმაოდ ანზოგადებენ ადგილებზე პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილებას.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საკავშირო კ. პ. (ბ) იაროსლავლის საოლქო კომიტეტს, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს აღმოფხვრან ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი და მიიღონ ღონისძიებანი პარტიული განათლების დაყენების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. საოლქო პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ამოცანად პარტიული განათლების საქმეში ჩაითვალოს პოლიტიკური სწავლების ხარისხის, მისი იდეურ-თეორიული დონის ამაღლება.

საკავშირო კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტს წინადადება მიეცა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პროპაგანდისტთა ხარისხობრივი შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანის რაც შეიძლება მალე და წარმატებით გადაჭრას, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის გაწევა მიანდოს პარტიის თეორიულად ყველაზე მომზადებულ წევრებს; უზრუნველყოს პროპაგანდისტთა კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება, რეგულარული მეთოდური ხახმარება გაუწიოს მათ სკოლებსა და წრეებში სწავლის პროცესის სწორად მოწყობის საქმეში, მეცადინეობის გეგმების შედგენაში, ლიტერატურის, ილუსტრაციების შერჩევაში, კონსპექტებისა და სხვ. შედგენაში.

მოწყობილ იქნას პროპაგანდისტებისათვის მოხსენებანი პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადწყვეტილებათა, სსრ კავშირის საბჭოსა და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების პარტიული ორგანიზაციული ამოცანების შესახებ, აგრეთვე ლექციები მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების აქტუალურ საკითხებზე.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საკავშირო კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტს დაავალა შტატგარეშე პროპაგანდისტების მომზადების მიზნით მიმდინარე წელს პარტიის იაროსლავლისა და ჩიერბაკოვსკის საქალაქო კომიტეტებთან მოაწყოს 3-4 თვიანი კურსები საქალაქო პროპაგანდისტებისათვის ძირითად სამუშაოზე მთის მოეწყვეტლად და ერთთვიანი კურსები საკავშირო კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტთან ყველაზე დაშორებული რაიონების სოფლის პროპაგანდისტებისათვის ამ ხნის განმავლობაში ძირითადი სამუშაოსაგან მათი გათავისუფლებით და ამ კურსებისათვის გამოყოს საუკეთესო მასწავლებლები.

მიაჩნია რა პარტიული კაბინეტების უმნიშვნელოვანეს ამოცანად პროპაგანდისტებისადმი სისტემატური დახმარების გაწევა მეცადინეობისათვის მათს მზადებაში და იმ კომუნისტებისადმი, რომლებიც მარქსისტულ-ლენინურ თეორიას სწავლობენ, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა საოლქო კომიტეტს, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს და კონსულტაციები მოაწყონ კონსულტაციები თეორიულ და მეთოდურ საკითხებზე, ლიტერატურისა და სახელმძღვანელოთა გამოფენები თემების მიხედვით, დიაგრამების, ლიტერატურის ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვათა შედგენა და სხვ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა გაზეთების „პრავდის“ და „კულტურა ი ჟიზნის“ რედაქციებს რეგულარულად ბეჭდონ თეორიული სტატიები და კონსულტაციები პროპაგანდისტებისა და კადრების პოლიტიკური თვითგანათლებისათვის დასახმარებლად, აგრეთვე გაამლიერონ განზოგადება დადებითი გამოცდილებისა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული განათლების დაყენების საქმეში.

აღინშნა რა, რომ გაზეთ „პრავდის“ პრეს-ბიურო ცუდად ეხმაურება პროპაგანდისტთა საჭიროებას, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას გაამლიერონ „პრავდის“ პრეს-ბიუროს აპარატი და მოაწყოს პრეს-ბიუროს საშუალებით

„კულტურა ი ჟიზნი“, 1949 წლის 30-I, № 3 (95).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საპატიო აკადემიკოს ნ. თ. გამალეას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მიკრობიოლოგიაში და ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული დამსახურებისთვის, დაბადებიდან 90 წლის შესრულებასთან და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წლისთავთან დაკავშირებით საპატიო აკადემიკოსი ნიკოლოს თევდორეს-ძე **გამალეა** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გოროკინი

მოსკოვი, კრემლი.
1949 წ. 16 თებერვალი.

ქრონიკა

1948 წლის მოსავლის ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების დამთავრებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ნება დართო კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს საქართველოს სს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე თავისუფლად გაყიდონ ციტრუსოვანთა ნაყოფი (მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალი). (საქდესი).

სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით

შეჯიბრებაში ებმებიან მოწინავე სვახანოველები

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მოწინავე სტახანოველთა ჯგუფის წერილი (იხ გაზ. „კომუნისტი“, 12 თებერვალი, № 31) საბრძანებელ საშუალებათა უკეთესად გამოყენებისათვის პროფესიათა მიხედვით სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ, ფართო გამოხმაურება გამოიწვია თბილისის საწარმოთა კოლექტივებში. საწარმოთა საამქროებსა და ბრიგადებში აგიტატორები და წამკითხველები მუშებს აცნობენ ამ წერილის შინაარს.

შეჯიბრება პროფესიათა მიხედვით შეუხელებლივ ფართოვდება. სტახანოველები ანგარიშმიგებ თავიანთ შესაძლებლობებს, კისრულობენ ახალ ვალდებულებებს, ამუშავებენ ღონისძიებებს წლიური გეგმების ვადამდე შესრულების უზრუნველსაყოფად.

რედაქციაში გამოგზავნილ წერილში თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის სამარე საამქროს ზენაკალი სტახანოველი პ. მუხიგულაშვილი წერს:

— გთხოვთ დამიბეჭდოთ გაზეთ „კომუნისტში“, რომ ვიღებ თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის ამწყობ ზენაკლის ა. ბენდიანშვილის გამოწვევას და ვებმები მასთან სოციალისტურ შეჯიბრებაში საბრუნავ საშუალებათა უკეთესად გამოყენებისათვის. ვკისრულობ მიმდინარე წლის გამავლობაში შევასრულო ორწელიწადნახევრის ნორმა, არ დავუშვა წუნი და წელ გამავლობაში სხვადასხვა რაციონალიზატორულ ღონისძიებათა განხორციელებით ქარხანას მივცე 3.000 მანეთი ეკონომია. ჩემის მხრივ შეჯიბრებაში ვიწვევ ჩემს გვერდით მომუშავე ზენაკალს ამხ. გ. გეურქოვს.

ამავე ქარხნის ლითონმხეხავი გ. არუთინოვი სწერს:

— დიდად გამახარა კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის ლითონმხეხავის ტატიანა ჟდანოვის გამოწვევამ. ჩანს მას ჩემი მუშაობის შესახებ კარგი რამ სმენია და მეც ვიცი, რომ მასთან შეჯიბრება აღვილი არ არის. სიამოვნებით ვებმები მასთან ინდივიდუალურ შეჯიბრებაში და ჩემი მხრივ გკისრულობ: ვიმუშაო ერთდროულად 3 დაზგაზე, მიმდინარე წლის ბოლომდე შევასრულო 3 წლის ნორმა და მივაღწიო 2.000 მანეთ ეკონომიას.

საქართველოს სს რესპუბლიკამ შეასრულა ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების გეგმა

საქართველოს სს რესპუბლიკამ 1948 წლის მოსავლის ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების სახელმწიფო გეგმა 119,9 პროცენტით შეასრულა. მიუხედავად იმისა, რომ შარშან ზამთარში ყინვებმა მეტად შეამცირა ციტრუსოვანთა მოსავალი აფხაზეთის რაიონებში, მოლიანად რესპუბლიკაში ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი მეტია დამზადებული, ვიდრე 1947 წელს. საქართველოს სუბტროპიკული რაიონების საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეებმა, დამამზადებელ ორგანიზაციებს ჩაბარეს 595.536.000 ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, მათ შორის: 38.325.000 ლიმონი, ნაცვლად 1947 წელს ჩაბარებული 15.128.000-ისა, და 22.785.000 ფორთოხალი, ნაცვლად 1947 წელს ჩაბარებული 15.402.000-ისა.

სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ციტრუსოვანთა ნაყოფის საერთო რაოდენობიდან დამზადებულია: აჭარის ასს რესპუბლიკაში—500.842.000 ცალი, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 66.867.000 ცალი, მახარაძის რაიონში — 100.818.000 ცალი, ლენჩხუთის რაიონში—19.723.000 ცალი. (საქდესი).

დაზგათმშენებელთა ვაღდებულებანი

Saხელოვანი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდა საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობას ქარხანა „დაზგის“ კოლექტივი, რომელმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულა 1948 წლის საწარმოო დავალებანი ყველა სამინისტროტური მაჩვენებლის მიხედვით, გეგმის გადამეტებით ჩვენს ქვეყანას მისცა ათობით დაზგა და 310 ათასი მანეთი; ამასთან იანვრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა ყრილობის გახსნის დღისათვის.

ამ დღეებში დაზგათმშენებლები ჩაბენენ საპირველმაისო შეჯიბრებაში და ახალი საწარმოო ვალდებულებანი აიღეს: 110 პროცენტით შეასრულონ სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა, 1 მაისამდე გეგმის გადამეტებით დაამზადონ რამდენიმე დაზგა, ამუშაონ ახალი შემკეთებელი საამქრო და მოაკარი მექანიკური განყოფილება, გეგმის გადამეტებით 2 პროცენტით შეაკლონ პროდუქციის თვითღირებულება და 1,5 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, მოწოფეებისაგან მოამზადონ 3 კვალიფიციური მუშა და აამაღლონ 10 მუშის კვალიფიკაცია.

ამ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების მიზნით დაზგათმშენებლებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ავტალის ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხნის კოლექტივი.

ქარხნის ცალკეულმა სტახანოველებმა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს მეზობელ კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშები. მღებავმა მ. ფირანაშვილმა აკისრა 220 პროცენტით შეასრულოს გეგმა, გაუმჯობესოს ღებვის ხარისხი, დაზოგოს საღებავი მასალის 5 პროცენტი. მან შეჯიბრებაში გამოიწვია კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მღებავი გეორქოვი. სტახანოველმა ხარატმა პ. ზახაროვმა გადაწყვიტა იმუშაოს უწყნოდ, საწარმოო დავალება გაანაღლოს 300 პროცენტით და შეჯიბრებაში გამოიწვია კიროველი ხარატი აგაჯანოვი. მჭედელი ვ. ზამეულნკო, რომლის საწარმოო ვალდებულებაა — ორმაგად გაანაღლოს გეგმა, გაუმჯობესოს ნაჭედის ხარისხი, იმუშაოს უწყნოდ და დაზოგოს ნედლეული, ეჯიბრება კიროველ მჭედელს პ. ლუგანსკის.

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 20 თებერვალს.

კორეელი ხალხის წერილი ამხანაგ სტალინს

კორეიდან საბჭოთა ჯარების ევაკუაციის დამთავრებასთან დაკავშირებით ჩრდილო და სამხრეთ კორეის მოსახლეობამ მადლობის წერილით მიმართა ამხანაგ სტალინს.

ფხენიანის ქარხნის „სადო ეაფხენის“ (ჩრდილო კორეა) მუშათა მოწოდებით ამხანაგ სტალინისადმი გამგზავნ წერილზე ხელმოწერის შეგროვება მოხდა მთელ კორეაში 1948 წლის ოქტომბრიდან დეკემბრამდე. ამერიკის ჯარების მიერ ოკუპირებული სამხრეთ კორეის მოსახლეობამ, მიუხედავად რეპრესიებისა და ტერორისა ადგილობრივ ხელისუფალთა მხრივ, აქტიური მონაწილეობა მიიღო ამხანაგ სტალინისადმი გასაგზავნი წერილის განხილვასა და ხელმოწერაში. წერილს ხელი მოაწერეს სამხრეთ კორეის პროვინციების გლეხებმა, სეულის, ინჩოკისა და სხვა ქალაქების მცხოვრებლებმა, კუნძულ ჩეჯიუს და სამხრეთ კორეის მთიანი ადგილების პარტიზანული რაიონების მცხოვრებლებმა.

წერილს სულ ხელი მოაწერა ჩრდილო და სამხრეთ კორეის 16.767.680 მცხოვრებმა. ამ რიცხვში შედის სამხრეთ კორეის 9.940 ათასი მცხოვრები. სამხრეთ კორეაში ცხოვრობს მთელი კორეის მოსახლეობის ნახევარზე მეტი. ამ წერილზე ხელმოწერის ფურცლებს უკავია 30-ზე მეტი გუთნი.

ამ დღეებში კორეელი ხალხის წერილი ამხანაგ სტალინისადმი ჩატანილ იქნა მოსკოვს. წერილის ტექსტი აშიარაყდება ამრეშუმის ტელოზე.

ქვემოთ მოყვანილია წერილის სრული ტექსტი:

მოსკოვი, კრემლი

საბჭოთა ხალხების დიდ გენერალს, კორეელი ხალხის განმათავისუფლებელს

გენერალისიმუს სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო!

კორეელი ხალხი უღიდესი აღფოთოვანების გრძნობით გიგზავნით ამ წერილს თქვენ, კაცობრიობის უდიდეს გენიოსს, კორეელი ხალხის მხსნელს.

ამ დღეებში კორეელი ხალხი გულთმიდად ემშვიდობება საბჭოთა მეომრებს, რომლებიც სტოვებენ ჩვენი სამშობლოს ფარგლებს. საბჭოთა არმიამ, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, გაგვათავისუფლა იაპონის ხანგრძლივი უღლისაგან, დაგვეხმარა გამოსულიყავით თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრების ფართო და ნათელ გზაზე. კორეელი ხალხი გულწრფელ მადლობას გიძღვნით თქვენ, კორეელი ხალხის განმათავისუფლებელსა და მეგობარს.

ორმოცი წელია კორეელ ხალხს მზე არ დაუნახავს. სამშინელი წყვდიადით იყო მოცული ჩვენი სამშობლო და თითქოს მას ბოლო არ უჩანდა. მაგრამ ამ ძნიმე დროსაც ჩვენ სულით არ დავცემულართ. ჩვენ ვიბრძოდით საკუთარი ბედნიერებისათვის. ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილები იხოცებოდნენ იაპონელ დამპყრობთა მახვილით, გმინავდნენ საპყრობილეებში, იხოცებოდნენ სამნელი წამებით, მაგრამ შეუდრეკელნი რჩებოდნენ თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ჩვენი მრავალტანჯული ხალხი არ კარგავდა განთავისუფლების, იაპონის მონობისაგან ხსნის იმედს. ფიქრით ჩვენ შევეურებდით დიდ ხალხს საბჭოთა ქვეყანას და თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მეგობარსა და მასწავლებელს, და გეჯეროდა, რომ ჩვენთვისაც დადგებოდა სახნარული ნათელი დღე.

დადგა ეს დღე — განთავისუფლების დიადი დღე — 1945 წლის 15 აგვისტო.

სულ სამმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც გმირმა საბჭოთა არმიამ გაანადგურა გერმანელი ფაშისტები და იაპონელი იმპერიალისტები და თავისი საბრძოლო დროშებით, რომლებიც მოსილია უჭკნობი დიდებით, ჩვენს ხალხს მოუტანა დიდი ხნის ნანატრი თავისუფლება. რა დიდი ცვლილებები მოხდა ჩვენი სამშობლოს ცხოვრებაში! დიდი საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით ჩრდილო კორეის ხალხმა აღადგინა იაპონელთა მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობა, განაბრწყინა დიადი დემოკრატიული გარდაქმნანი, რომლებიც ეფუძნებიან მთელი კორეელი ხალხის ყველაზე სანეტარო სურვილებს, და წარმატებით ახორციელებს ახალი ცხოვრების მშენებლობას.

ბოლოვენ აღდგენილი ფაბრიკებისა და ქარხნების მილები, მუშაობენ შახტები, დადიან მატარებლები ჩვენი რკინიგზის მაგისტრალებზე. იაპონელ და საკუთარ მემამულეთა უღლისაგან განთავისუფლებული გლეხები ახლა უხვ მოსავალს იღებენ. ვიღარ იცნობთ დღეს ჩვენს სოფელს. იქ, სადაც არც ისე დიდი ხნის წინათ საცოდავი ქოხები იდგა, რომლებშიც ჩვენი გლეხობა ცხოვრობდა, ახალი ცხოვრება აყვავდა. როგორც წვიმის შემდეგ ბამბუკის ახალი ყლორტები, ისე ჩნდებიან ახალი ფართო და ნათელი სახლები კრამიტის სახურავით, შენდება კლუბები, ჭოხ-სამკითხველები. ყველგან გაჩაღებულია სასიხარულო შემოქმედებითი შრომა.

ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების მომენტიდან განვლილი სამი წლის მანძილზე ჩრდილო კორეის მშრომელებმა საბჭოთა არმიისა და დიდი საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით აღადგინეს და აამუშავეს იაპონელების მიერ დანგრეული და დაზიანებული სამრეწველო საწარმოები და ააშენეს მთელი რიგი ახალი სამრეწველო საწარმოები. ჩრდილო კორეაში მრეწველობის აღდგენა და განვითარება უმაგალითო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. თუ 1946 წლის დამდეგს სამრეწველო პროდუქციის მოცულობას 100-ად მივიღებთ, 1947 წლის დამდეგს სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ შეადგინა 154, 1948 წლის დამდეგს — 314, ხოლო 1948 წლის ნახევარში — 411.

მიწის დემოკრატიული რეფორმის განხორციელების შედეგად 720.611 მოჯამაგირეთა, მცირე მიწიანმა და უმიწო გლეხურმა ოჯახმა მიიღო ერთ ძალიონზე მეტი ჰექტარი მიწა. მიწის რეფორმამდე ჩრდილო კორეაში იყო მოჯამაგირეთა 17.137 უსახლკარო ოჯახი და 442.973 უმიწო გლეხური მეურნეობა, რომლებიც საცოდავ მშიერ არსებობას ეწეოდნენ. ახლა მათ უფასოდ მიეცათ მიწა და ისინი ცხოვრობენ მდიდრად და ბედნიერად. საუკუნობრივი ფეოდალური ბორკილებისა და საშინელი ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ჩრდილო კორეის გლეხები უდიდესი ენთუზიაზმით ამუშავებენ თავიანთ მინდვრებს. განვლილი სამი წლის მანძილზე ჩრდილო კორეის ნათესი ფართობი გადიდდა 409 ათასი ჰექტარით, მარცვლეულის საერთო მოსავალი გაიზარდა 513.600 ტონით, პირუტყვის სულადობა ერთი-ორად გადიდდა. პირველად თავის ისტორიაში ჩრდილო კორეის გლეხობა თავისუფლად განაგებს საკუთარი შრომის ნაყოფს. იგი არა მარტო კარგად არის უზრუნველყოფილი კვების პროდუქტებით, არამედ აქვს ბნაშვნელოვანი რაოდენობის პურის ნამეტი თავისუფალი ვაჭრობისათვის. 1946-1948 წლების განმავლობაში 100 ათასი გლეხი გადასახლდა ღარიბი ქოხებიდან ახლად აგებულ მშვენიერ სახლებში. ამავე ხნის განმავლობაში გლეხობამ შეიძინა 120 ათასი სული მუშა პირუტყვი. ასობით ათასმა გლეხმა შეიძინა ახალი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, სახლის მოწყობილობა, ახალი ტანსაცმელი, რადიომიმღებები, მოახდინა საკუთარი სახლის ელექტროფიკაცია. მთელ ხალხთან ერთად გლეხობა აქტიურად იბრძვის ახალი დემოკრატიული დამოუკიდებელი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის აგებისათვის.

მთელ კორეაში გაისმის სიმღერები თავისუფალ და სასიხარულო შრომაზე, ჩვენს ბედნიერ სვეზე.

სავსებით შეიცვალა ჩრდილო კორეის ქალის ცხოვრება. საუკუნეების მანძილზე იგი მონობასა და დამცირებაში იყო. ამჟამად იგი თავისი ქვეყნის თანასწორუფლებიანი მოქალაქეა და მამაკაცთან თანაბრად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სახელმწიფოს მართვაში და გვიჩვენებს აღფოთოვანებული შემოქმედებითი შრომის ნიმუშებს თავისი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

დიდ წარმატებებს მიაღწია ჩრდილო კორეამ სახალხო განათლებასა და წერაკითხვის ცოდნის გავრცელებაში.

იაპონელ დამპყრობთა ბატონობის პერიოდში ჩრდილო კორეაში იყო სულ 1.372 დაწყებითი სკოლა და 115 საშოალო საერთო-საგანმანათლებლო და ტექნიკური სკოლა, რომლებშიც სწავლობდა 910 ათასი ბავშვი. ეს სკოლები მოიცავდნენ სასკოლო ასაკის ბავშვთა მხოლოდ მცირე ნაწილს. კორეის მოსახლეობის ნახევარზე მეტი წერაკითხვის ოკოდინარი იყო.

კორეის განთავისუფლებიდან განვლილი დროის მანძილზე უდიდესი მუშაობაა გაწეული სახალხო განათლების განვითარებაზე დარგში. ამჟამად ჩრდილო კორეაში არის 4.327 დაწყებითი, არასრული და სრული საშუალო სკოლა, რომლებშიც სწავლობს 1.740 ათასი ბავშვი, ჭაბუკი და ქალიშვილი. გარდა ამისა, შექმნილია მოზრდილთა 1.758 დაწყებითი და საშუალო სკოლა, და 70 საშუალო, უმაღლესი დაუსწრებელი და საღამოს სასწავლებელი, რომლებშიც სწავლობს 1 მილიონამდე კაცი. 2 მილიონზე მეტი კაცი სწავლობდა წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სპეციალურად შექმნილ პუნქტებში.

იაპონელების დროს ჩრდილო კორეაში არ იყო არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი. უმაღლესი განათლება ჭაბუკებისა და ქალიშვილებისათვის მიუწვდომელი ოცნება იყო.

ახლა ჩვენ გვაქვს 11 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც სწავლობს 10 ათასამდე სტუდენტი. ჩვენი ეროვნული გმირის კიმ ირ სენის სახელობის ფხენიანის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის სიამაყეა. პირველად ჩვენი სამშობლოს ისტორიაში ჩრდილო კორეის ახალგაზრდობას გაეხსნა ყველა უმაღლესი სასწავლებლის გზა. ჩრდილო კორეა სწრაფად ხდება მთლიანი წერაკითხვისმცოდნეობის ქვეყანა, მოწინავე კულტურისა და მეცნიერების ქვეყანა.

განუზომლად ამაღლდა მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონე. სიბნელისა და სიღატაკის ბატონობის ქვეყნიდან ჩრდილო კორეა გადაიქცა სინათლისა და ბედნიერების ქვეყნად.

კორეას თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთხელ უნახავს თავის ქვეყანაში უცხო ჯარები. მათი მახვილით იხოცებოდნენ ჩვენი პატრიოტები, იღუპებოდა მშვიდობიანი მოსახლეობა. ისინი წვავდნენ ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს, აქცევდნენ მათ ნანგრევებად და ნაცრად.

და მხოლოდ საბჭოთა ჯარები მოვდნენ ჩვენთან არა როგორც დამპყრობლები, არამედ როგორც განმათავისუფლებლები. მონობისაგან განთავისუფლებულმა, თავისუფლად ამოისუნთქა ჩვენმა მშობლიურმა ქვეყანამ. ჩვენ დავინახეთ ლაქვარი ცა, აყვავდა ჩვენი მიწა, გაისმის სიმღერა თავისუფლებაზე, სიხარულსა და ბედნიერებაზე.

საბჭოთა მთავრობა და პირადად თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო, ყოველივე შესაძლებელს აკეთებდით და აკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი. სამი მინისტრის მოსკოვის თათბირზე, კორეის საკითხთა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ კომისიაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში, ყველგან გაისმოდა თქვენი ქვეყნის მძლავრი ხმა ჩვენი ხალხის დასაცავად, მისი საარსებო უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

შარშან, როცა ამერიკის მთავრობის და კორეის რეაქციის მიზეზით ჩაიშალა კორეის შესახებ მოსკოვის გადაწყვეტილების განხორციელება, საბჭოთა მთავრობამ, კორეის ერთიანი დემოკრატიული მთავრობის უსწრაფესი შექმნისა და დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოდ კორეის აღორძინების მიზნით, შეიტანა წინადადება, რომ კორეიდან ერთდროულად გაეყვანათ ამერიკისა და საბჭოთა ჯარები და კორეელ ხალხს შესაძლებლობა მისცემოდა თვითონ, უცხოეთის ჩაურევლად, გადაეწყვიტა თავისი ქვეყნის ბედის საკითხი.

საბჭოთა მთავრობის ასეთი წინადადება შეესაბამება მთელი ჩვენი ხალხის ძირეულ ინტერესებს და წარმოადგენს ახალ, მკაფიო დადასტურებას იმისას, რომ მხოლოდ საბჭოთა ქვეყანას, რომელიც სტალინის გენიას მიჰყავს დიდი ლენინის გზით, შეუძლია ასე სცეს პატივი დიდი და მცირე ხალხების თავისუფლებას, თანასწორუფლებიანობასა და სუვერენიტეტს.

ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის ამ პოლიტიკისაგან, რასაც საბჭოთა ქვეყანა ახორციელებს, როგორც ცა დედამიწისაგან, განსხვავდება ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა, რასაც მკაფიოდ მოწმობს მდგომარეობა სამხრეთ კორეაში. ჩვენს ქვეყანაში ამერიკელი იმპერიალისტების მოსვლის პირველი დღეებიდან, კორეელი ხალხის გამცემმა დახმარებით, მათ დაამყარეს პოლიციურ-ტერორისტული რეჟიმი. სამხრეთ კორეის ხალხს წართმეული აქვს ყველაზე ელემენტარული უფლებანი და თავისუფლებანი.

პროგრესული პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები იძულებული გახდნენ არალეგალურად იმუშაონ, იქ მძვინვარებს უსასტიკესი ტერორი — აპატიმრებენ და საპყრობილეებში ათავსებენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს, ხოცავენ პატრიოტებს — კორეელი ხალხის საუკეთესო შვილებს. სამხრეთის მშრომელი მოსახლეობა ცხოვრობს სიღატაკესა და მუდმივ შიშში პირადი ხელშეუხებლობისა და სიცოცხლისათვის.

სამხრეთ კორეის ხალხს ტყუილად ქონდა იმედი, რომ იაპონელ დამპყრობთაგან კორეის განთავისუფლებასთან ერთად ბოლო მოეღებოდა მონურ ცხოვრებას. სამხრეთის ხალხმა ვერ მოასწრო ერთი ბორკილის მოცილება, რომ მას დაადეს მეორე. ერთი მონობა შესცვალა მეორემ, არა ნაკლებ მძიმემ და სამარცხვინომ.

ხალხს სხეულზე ჯერ არ მოშუშებულიყო ძველი ჭრილობები, რომ ახლები დაემატა. თავისი ქვეყნის აღდგენისათვის მებრძოლი ხალხის წინააღმდეგ ამერიკელი იმპერიალისტები ტანკების ზზანეიდნენ. ისმისთვის, რომ ხალხი მორჩილებამი იყოლიონ, მათ კორეის წყლებში უყენიათ თავიანთი სამხედრო ხომალდები, ხმელეთზე ჰყავთ ავიაცია, ტანკები, მექანიზებული ჯარები. მათ ჩაშალეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის კომისიის მუშაობა, რომელსაც სამართლიანად უნდა გადაეწყვიტა კორეის ბედი, და უარი თქვეს კორეიდან თავიანთი ჯარების გაყვანაზე საბჭოთა ჯარებთან ერთდროულად. მათ გამოიყენეს „უმრავლესობა“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში და მიაღწიეს იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში გამოგზავნეს უკანონოდ შექმნილი ეგრეთ წოდებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისია, ხალხის ნების საწინააღმდეგოდ და ძალადობისა და ტერორის დახმარებით ჩაატარეს სპეციალური ფალსიფიცირებული „არჩევნები“, შექმნეს მარიონეტული მთავრობა, რომლის დახმარებითაც ცდილობენ კორეა გადააქციონ თავიანთ კოლონიად და სამხედრო ბაზად.

ასეთია პროიაპონური ელემენტებისა და ნაციონალური გამცემლების, რომლებსაც ეხარ უჭერენ სამხრეთ კორეაში ამერიკელი იმპერიალისტები, სამი წლის ძალდატანებითი ტერორისტული მართვის შედეგები.

მაგრამ სამხრეთის ხალხი ჩრდილოეთის ხალხთან ერთად, რომელმაც მტაცე ბაზა შექმნა დემოკრატიულ სუფეველზე კორეის გაერთიანებისათვის, გაბუნყვეტლივ ეწეოდა და ეწევა გმირულ ბრძოლას დემოკრატიული კორეის დამოუკიდებლობისათვის, ამერიკელ იმპერიალისტთა კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. 1946 წლის ოქტომბრის აჯანყება, 1947 წლის მარტის საყოველთაო გაფიცვა, 1948 წლის თებერვლის აჯანყება და სუპარატული არჩევნების საყოველთაო-სახალხო ბოიკოტი სამხრეთ კორეაში მკაფიო მაგალითებია სამხრეთის ხალხის ბრძოლისა ერთიანი დემოკრატიული კორეის შექმნელად.

სასტიკი რეპრესიების გაძლიერებასთან ერთად, რასაც ახორციელებენ ამერიკელ იმპერიალისტთა მხარდაჭერით და რომელიც ეფუძნებიან კორეელი ხალხის ჭეშმარიტი პატრიოტების წინააღმდეგ, სამხრეთ კორეის ხალხის გმირული ბრძოლის ტალღა უფრო და უფრო იზრდება. ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გამოიწვევენენ და განმტკიცდნენ სამხრეთის დემოკრატიული ძალები. პროიაპონური ელემენტებისა და ნაციონალური გამცემლების წინააღმდეგ მათი ბრძოლა სულ უფრო ორგანიზებული ხდება და ფართოდ ჩაღდება.

კორეის უმაღლესი სახალხო კრების არჩევნების დროს სამხრეთ კორეის ხალხმა, რომელიც აღფრთოვანებულია დემოკრატიული წარმატებებით ჩრდილო კორეაში და სამხრეთისა და ჩრდილოეთის პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა აპრილის თათბირის გადაწყვეტილებებით, კვლავ ცხადყო მთელი მსოფლიოს წინაშე თავისი გადაწყვეტილება — იბრძოლოს დემოკრატიული კორეის ერთიანობისათვის. სამხრეთის მოსახლეობა, რომელმაც არ იცის შიში, არ ეშინია სიკვდილის, მონაწილეობდა ამ არჩევნებში, მიუხედავად რეაქციის უსასტიკესი პოლიციური ტერორისა, რასაც მხარს უჭერდა ამერიკის სარდლობა. არჩევნები სამხრეთ კორეაში ჩატარდა ხალხის დიდი აღფრთოვანებით. არჩევნების საყოველთაო-სახალხო ხასიათს მოწმობს ის ფაქტი, რომ მასში მონაწილეობა მიიღო სამხრეთის ყველა ამომრჩეველთა 77,52 პროცენტმა და ჩრდილოეთის ამომრჩეველთა 99,97 პროცენტმა. ჩრდილო კორეის ხალხის უდიდესმა წარმატებებმა დემოკრატიული მშენებლობის საქმეში და სამხრეთ კორეის ხალხის გმირულმა ბრძოლამ სამშობლოს ხსნისათვის უზრუნველყვეს უმაღესი სახალხო კრებისა და ცენტრალური, ნამდვილად სახალხო მთავრობის შექმნა. ამიერიდან კორეის სახალხო რესპუბლიკის დროშა ფრიალებს არა მარტო ჩრდილო კორეის ტერიტორიაზე, არამედ სამხრეთ კორეის ბევრ ადგილსაც.

დიდმა საბჭოთა კავშირმა, რომელიც უანგარო დახმარებას უწევდა ჩვენს ხალხს ერთიანი დამოუკიდებელი დემოკრატიული კორეის შექმნის საქმეში, კორეის უმაღესი სახალხო კრების პირველი სესიის თხოვნით გადაწყვიტა გაეყვანა თავისი ჯარები ჩრდილო კორეის ტერიტორიიდან 1948 წლის დამლევამდე. საბჭოთა მთავრობის ეს გადაწყვეტილება ერთხელ კიდევ ცხადყოფს საბჭოთა კავშირის პატიოსანებას მცირე ერების თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და თანასწორუფლებიანობისადმი, მის უანგარობასა და თანმიმდევრობას.

დიდი საბჭოთა კავშირისადმი კორეელი ხალხის მადლობის გრძნობა ღვივის თვითეული კორეელის გულში. კორეელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს თავის განმათავისუფლებელ — დიდ საბჭოთა კავშირს.

საბჭოთა ჯარების გაყვანის შესახებ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით აღფრთოვანებული კორეელი ხალხი, რომელსაც უფრო მაღლა უჭირავს სახალხო რესპუბლიკის დროშა, მოითხოვს ამავე დროს გაეყვანილ იქნან ამერიკელ ჯარები მთელი ტერიტორიიდან და იბრძვის სამხრეთ კორეის სპეციალური მარონეტული მთავრობის წინააღმდეგ.

კორეელი ხალხის დემოკრატიული ძალების მზარდი ძლიერება იმის დამადასტურებელია, რომ კორეა არასოდეს არ იქნება ყვავ კოლონია ან უცხო სახელმწიფოზე დამოკიდებული ქვეყანა.

რაც უნდა გაცოფდნენ მონოპოლისტები ფოლ-სტრატიდან და მათი მორჩილი ლაქიები — კორეელი ხალხის მოღალატენი, რომლებიც ამერიკელ იმპერიალისტთა ხიშტების დახმარებით არსებობენ, მათ არ ძალუძთ ხელი შეუშალონ ძლევამოსილ წინსვლას, ხელი შეუშალონ ჩვენი სანეკვარი ოცნების — ერთიანი დამოუკიდებელი დემოკრატიული კორეის სახელმწიფოს შექმნის განხორციელებას. ჩვენი ხალხი, რომელიც მტკიცედ დარაზმულია ეროვნული გმირის კიმ ირ სენის გარშემო, გააკამეტვრებს საშინაო და საერთაშორისო რეაქციის ყველა სისხლიან ჩანაფიქრსა და შეთქმულებას, დაუფალავად იბრძოლებს და მიაღწევს იმას, რომ ამერიკელმა იმპერიალისტებმა გაიყვანონ თავიანთი ჯარები ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან. გაჭრება სამწუხარო კვალი „38-ე პარალელისა“ ჩვენი სამშობლოს მკერდზე, მშობლიური მიწა თავისუფლად ამოისუნთქებს.

ძვირფასო და ბრძენო იოსებ ბესარიონის-ძეო!

ჩვენ ვაცილებთ საბჭოთა მეომრებს და გულწრფელ მადლობას ვუხდით მათ, ღირსეულად ვიფასებთ და ვადიდებთ საბჭოთა არმიის იმ დამსაზურებისათვის, რომელიც მას ჩვენი სამშობლოს წინაშე მიუძღვის. საბჭოთა არმიის მიერ ჩადენილი სახელოვანი საგმირო საქმეები ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისა და აღორძინებისათვის არ წარიშლება საუკუნეებში. იგი მარად იცოცხლებს იმ ძეგლებში, რომლებიც ჩვენ აღვმართეთ განთავისუფლების პატივსაცემად, საბჭოთა კავშირის დახმარებით აღდგენილი ქარხნებისა და ფაბრიკების მბოლავ მილებში, ჩვენი პურების ოქროს ტალღებში, ჩვენი ადამიანების სასიხარულო ღიმილში. კორეელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს საბჭოთა მეომრების საგმირო საქმეებს, ისინი თაობიდან თაობას გადაეცემა როგორც საუცხოო ზღაპრები და მუდამ გამოიწვევენ ჩვენს ხალხში საბჭოთა არმიისადმი სიყვარულისა და მადლიერების მხურვალე გრძნობას.

აცილებს რა საბჭოთა მეომრებს, კორეელი ხალხი მაგრად და ძმურად არომეკენ მათ ხელს. ჩვენ ახალი ძალით გვაქვს შეგნებული, რომ მხოლოდ საბჭოთა ხალხისა და პირადად თქვენი დახმარებით შესძლებს ჩვენი ქვეყანა გახდეს ერთიანი და ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფო.

ჩვენ ბევრი სიძნელე მოგველის. მაგრამ დარწმუნებული ვართ გამარჯვებაში. მთელ ჩვენს ძალებს მოვახმართ იმას, რომ განვამტკიცოთ და გავაძლიერთ ის წარმატებანი, რომლებიც მოპოვებული გვაქვს დამოუკიდებელი კორეის მშენებლობის საქმეში. საბჭოთა ხალხისა და მთელი დემოკრატიული ბანაკის ძმური დახმარებით, რომელსაც სათავეში უდგას მძლავრი სახელმწიფო—საბჭოთა კავშირი—ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბურჯი,—ჩვენ მივაღწევთ ჩვენი სამშობლოს აყვავებას.

კორეელი ხალხი კვლავაც განამტკიცებს საბჭოთა ხალხთან მეგობრობას, რაც იმის საწინდარია, რომ კორეელი ხალხი თავისუფალი და ბედნიერი იქნება. ჩვენს წმინდა ვალს წარმოადგენს ჩვენი ხალხების მეგობრობის განმტკიცება, მეგობრობისა, რომელიც განმტკიცებულია საბჭოთა მეომრების წმინდა სისხლით, რაც მათ დაღვარეს ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლების ველზე.

დღეს, ისევე როგორც ყოველთვის, ჰეკტუსანის წმინდა მთა, რომელსაც ლაკვარდ ცაში აღუმართავს თავისი თეთრი მწვერვალი, შეჰყურებს ურალის მთაგრეხილებს. დღეს, ისევე როგორც ყოველთვის, ტუმანგანის სიტაკი ტალღები, რომელიც სიყვარულით ეალერსება ორივე ჩვენი ქვეყნის ნაპირებს, შიქანებიან აღმოსავლეთის ზღვისაკენ. მათ მსგავსად საბჭოთა და კორეელი ხალხების მეგობრობა სამარადისო იქნება, მისი ბრწყინვალება საუკუნეებში გაუნათებს გზას კორეელ ხალხს.

დღეს 30 მილიონიანი კორეელი ხალხი შეჰყურებს ჩრდილოეთს, მოსკოვს, კრემლს და მთელი სულითა და გულით გისუცრებთ თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძეო, მრავალი წლის სიცოცხლეს მთელი მოწინავე კაცობრიობის საკეთილდღეოდ!

გაუმარჯოს კორეელი და საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა არმიას—კორეელი ხალხის განმათავისუფლებელ არმიას!

გაუმარჯოს გენერალისიმუს სტალინს — მთელი მსოფლიოს მშრომელთა მეგობარსა და მასწავლებელს, კორეელი ხალხის დიდ მხსნელს!

(საკდესი).

საბრუნავ თანხათა ბრუნვის დაჩქარებით გავეწინაპრებისუფლთ. სახელმწიფოს დამაჯებითი სახსრები

★

ყაიბულელ მეშახტეთა ღონისძიებანი

ტყიბული. (საკ. კორ.). მოსკოველთა ახალ შესანიშნავ თაოსნობას საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარების შესახებ ტყიბულელი მეშახტეები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ.

ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველმა ამხ. ა. ვარდიშვილმა „კომუნისტის“ კორესპონდენტს განუცხადა:

— ტრესტს დიდი საწარმოო და ეკონომიური რეზერვები მოუპოვება, რომელთა გამოყენებით შეიძლება მიეაღწიოთ ქვანახშირის ამოღების მკვეთრად გადიდებას. ამჟამად ვახდენთ 1.700.000 თანეთის ღირებულების არასაჭირო მარაგის ლიკვიდაციას, რომელიც უმოძრაოდ ძევს საწყობებში.

მეორე ღონისძიება, რომელსაც ტრესტი ახორციელებს, არის შახტებში ახალი სამოო მექანიზმების დანერგვა. განზრახულია წელს შახტებში დაიდგას ქვანახშირის 40 მომხვეტი კონვეიერი, 4 ქვანახშირისა და ორი ფუჭი ქანების ჩამტვირთავი მექანიზმი, 87 სანგრევი ჩაქუჩი, 43 საშახტო ჯალამბარი, რომელიც უზრუველყოფს ჰორიზონტებზე სამაგრი მასალის მექანიზებულ მიწოდებას.

მომდინარე წლიდან ტყიბულქვანახშირის ტრესტის ყველა შახტი გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე. სამეურნეო ანგარიშზე გადაგყავს აგრეთვე ყველა უბანი, დამზმარე საამქროები, რაც უეჭველად დააჩქარებს საბრუნავ საშუალებათა ბრუნვაადობას.

სტალინის სახელობის შახტმა გასულ წელს მოსკოველთა მიმართვის პასუხად გაანაღა ბრძოლა ქვანახშირის თვითღირებულების შესამცირებლად, რენტაბელური მუშაობისათვის და, მიიღო 743.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება. ამჟერადაც მოსკოველების პატრიოტულმა ინიციატივამ დიდი დაინტერესება გამოიწვია სტალინელ მეშახტეთა შორის. სბრუნავი თანხების ბრუნვის დაჩქარების შიზნით ამ შახტის უბნები, ცვლები და ბრიგადები ახორციელებენ მთელ რიგ ღონისძიებებს, რათა პირველ რიგში დაჩქარდეს საწარმოო ციკლი. მაგალითად, თებერვლის პირველ რიცხვებში მეათე უბანში ამ მიზნით დადგმული და გამოყენებულია ფუჭი ქანების, თვითმტვირთავი მანქანა, ხოლო ქვანახშირის თვითმტვირთავი მანქანა გამოყენებულ იქნა მეექვსე უბანში.

ლენინის სახელობის შახტში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს სამაგრი მასალის ეკონომიურად ხარჯვაზე. გამომუშავებული ლავებიდან იღებენ და ახალი ლავის გადასამაგრებლად იყენებენ ვარგის ხის სამაგრ მასალას.

ტყიბულქვანახშირის ტრესტმა წარმატებით დაიწყო ახალი წელი. სამმა შახტმა ვადაზე ადრე შეასრულა იანვრის გეგმა. ტყიბულელი მეშახტეები სიტყვას იძლევიან სბრუნავი თანხის თვითეულ მანეთზე ქვეყანას მისცენ გეგმით გათვალისწინებულზე მეტი ქვანახშირი.

ბრუნვის დაჩქარებით

სოხუმი. (საკ. კორ.). საწარმოთა კოლექტივები სწავლობენ თავიანთ შესაძლებლობებს და კისრულობენ სბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარებით სახელმწიფოს გაუთავისუფლონ ასეული ათასობით მანეთი.

ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივმა იკისრა 12 დღით დააჩქაროს სბრუნავ საშუალებათა ბრუნვა და სახელმწიფოს გაუთავისუფლოს 400 ათასი მანეთი. ამ მიზნით მეფეხსაცმელეები საამქროებში ნერგავენ „წარმოების ნაკადურ მეთოდს, აუმჯობესებენ ტექნოლოგიურ პროცესებს და ამცირებენ საწარმოო ციკლს.

საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა გულდასმით შეამოწმა თავისი შესაძლებლობანი და იკისრა სახელმწიფოს გაუთავისუფლოს 185 ათასი მანეთი. ამჟამად აქ ნერგავენ ნაკადური მეთოდით მუშაობას, ანდენენ ზრომატევადი პროცესების მექანიზაციას და იბრძვიან ნედლეულის მომჭირნეობისათვის.

სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვიტა სახელმწიფოს გაუთავისუფლოს 765 ათასი მანეთი. ასევითვე ვალდებულებანი იკისრეს სხვა საწარმოებმაც.

მოსკოველთა მაგალითისამებრ

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარების შესახებ მოსკოვის 103 მოწინავე საწარმოს ხელმძღვანელთა წერილის გამოქვეყნებისთანავე ზესტაფონის ფეროშენდნობთა ქარხანაში შეუდგენენ ამ საკითხის დაწვრილებით შესწავლას და საკუთარი ვალდებულებების დასახვას.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა სბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობა 1949 წელს დააჩქაროს 25 დღით, ბრუნვის დაჩქარების შედეგად და არალიკვიდური მასალების რეალიზაციის გზით გაუთავისუფლოს სახელმწიფოს 2.200 ათასი მანეთი.

სერგო ორჯონიკიძე

12 წლის წინათ, 1937 წლის 18 თებერვალს გარდაიცვალა მგზნებარე რევოლუციონერი, სამოქალაქო ომისა და სოციალისტური მშენებლობის ფრონტებზე მრავალი სახელოვანი გამარჯვების ორგანიზატორი, ლენინისა და სტალინის უახლოესი თანამებრძოლი გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე.

პირველი საბრძოლო რევოლუციური წრთობა სერგო ორჯონიკიძემ ამიერკავკასიაში მიიღო. როცა ლენინმა და სტალინმა ბოლშევიზმის დროშა აღმართეს, სერგო ორჯონიკიძე უყოყმანოდ დადგა ამ დროშის ქვეშ და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე თავდადებულად იბრძოდა ლენინ-სტალინის იდეების განხორციელებისათვის.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში ს. ორჯონიკიძე თვალსაჩინო როლს ასრულებდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობაში. რევოლუციის დროებით დამარცხების შემდეგ, რეაქციის პერიოდში იგი შეუნელებლად მუშაობდა პარტიის განმტკიცებისათვის, სასტიკად ებრძოდა მენშევიკ-ლიკვიდატორებს, ოტზოვისტებს.

მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ს. ორჯონიკიძემ პრაღის პარტიული კონფერენციის მომზადებასა და ჩატარების საქმეში. პარიზიდან ლენინის მიერ სპეციალური დავალებებით მოვლენებული ს. ორჯონიკიძე ლიკვიდატორებთან გააფთრებული ბრძოლის ვითარებაში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ამზადებს ამ კონფერენციას. პარტიული კონფერენციის მოწვევის ორგანიზაციისათვის ამხანაგი სტალინი და ორჯონიკიძე ქმნიან რუსეთის საორგანიზაციო კომისიას — რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პრაქტიკულ ცენტრს. ამ კომისიის შექმნას ლენინი უწოდებდა პარტიის გამოსვლას მოქმედების ფართო გზაზე. „...შეიქმნა, — ამბობდა ლენინი, — რუსეთის პრაქტიკულად მოქმედი ცენტრი. ორთქლმავალი წამოყენებულია და დადგმულია რელსებზე“. პრაღის კონფერენციამ ლენინის წინადადებით ბოლშევიკების პეტროგრადის კომიტეტის შემადგენლობაში და არჩეულ იქნა მუშათა და ჯარისკაცთა პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. ივლისის დღეების შემდეგ კონტრრევოლუციურმა დროებითმა მთავრობამ ბრძანება გასცა ლენინის დაპატიმრების შესახებ. ზნოვიევი, კამენევი და პარტიის სხვა მოღალატეები მოითხოვდნენ ვ. ი. ლენინის გამოცხადებას სასამართლოში და ამით საფრთხეში აგდებდნენ დიდი ბელადის სიცოცხლეს. ს. ორჯონიკიძე მთლიანად მხარს უჭერს ამხანაგ სტალინის წინადადებას, რომ ლენინი არ გამოცხადდეს სასამართლოში და გადავიდეს არალეგალურ მდგომარეობაზე. სერგო ორჯონიკიძე ამხანაგ სტალინის უახლოესი თანაშემწე იყო პარტიის VI ყრილობის მომზადებასა და ჩატარებაში.

1917 წლის სექტემბერში სერგო ორჯონიკიძე ლენინსა და სტალინის დავალებით ჩამოდის საქართველოში და მეთაურობს ქართველი ბოლშევიკების ბრძოლას კონტრრევოლუციური მენშევიზმის წინააღმდეგ.

იმავე წლის ნოემბრის დასაწყისში იგი კვლავ პეტროგრადში, მონაწილეობს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებაში, მეთაურობს წითელგვარდიელთა რაზმებს.

სამოქალაქო ომის წლებში პარტია, ლენინი და სტალინი სერგო ორჯონიკიძეს გზავნიან ფრონტის უაღრესად საპასუხისმგებლო და გადამწყვეტ უბნებზე. როცა რევოლუციის ცენტრს — პეტროგრადს შიშმილი დაემუქრა, სერგო მივლენებულ იქნა უკრაინაში დროებით საგანგებო კომისრად. აქ იგი პიტერისა და მოსკოვისთვის სურსათის გაგზავნის ორგანიზაციასთან ერთად ეხმარებოდა უკრაინელ ბოლშევიკებს მათს ბრძოლაში კონტრრევოლუციის წინააღმდეგ.

ლენინმა დიდი შეფასება მისცა ორჯონიკიძის მოღვაწეობას უკრაინაში. „სულითა და გულით გიძღვნით მადლობას,—წერდა ლენინი ორჯონიკიძეს,—ენერგიული ზომებისათვის სურსათის დარგში... მთელი იმედები თქვენზეა დამყარებული...“.

ყოველთვის ცეცხლის ბაზზე, ყოველთვის მოწონავე პოზიციებზე, მაღლბთან და მასების სათავეში—ასეთია სერგო ორჯონიკიძის საბრძოლო გზა სამოქალაქო ომის წლებში. იგი იყო დიდი სტალინის უახლოესი და ერთგული თანაშემწე ცარიცინის დაცვის საქმეში, ბოლშევიკური თანმიმდევრობით ასრულებდა სტალინის დავალებებს.

კავკასიის ხალხები სერგოს უწოდებენ თავის განმათავისუფლებელს. 1920 წლის აპრილში იგი კიროვთან ერთად მეთაურობს აზერბაიჯანის ბოლშევიკების ბრძოლას ბურჟუაზიისა და მემამულეების ბატონობის დამხობისათვის, რაც აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დაგვირგვინდა. შემდეგ სერგო ორჯონიკიძე ხელმძღვანელობს ბრძოლას საქართველოში კონტრრევოლუციური მენშევიკური ხელისუფლების დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. 1921 წლის 25 თებერვალს სერგო დეპეშით აცნობებს ლენინსა და სტალინს: „თბილისში ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“.

საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სერგო ორჯონიკიძე მთელი რიგი წლების განმავლობაში მუშაობდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელად—ჯერ რ.კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს მდივნად, ხოლო შემდეგ საკავშირო კ. პ. (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნად. ამიერკავკასიის რთულ პირობებში სერგო ორჯონიკიძე მტკიცედ და უნარიანად ახორციელებდა ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას. მისი მეთაურობით პარტიული ორგანიზაციები ანადგურებდნენ მენშევიკებს, დაშნაკებისა და მუსავატელების ნაშთებს, რაზმავდნენ მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

სერგო ორჯონიკიძე იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ლენინურ-სტალინური იდეის მგზნებარე პროპაგანდისტი. „საბჭოთა რესპუბლიკები, — ამბობდა იგი,—მშრომელი მასების განუყრელი რევოლუციური კავშირია... საბჭოთა რესპუბლიკები ვერ იარსებებენ, თუ არ ექნათ ეკონომიური და სამხედრო ურთიერთდახმარება“.

ს. ორჯონიკიძე დაუნდობელი იყო პარტიისა და ხალხის მტრების მიმართ. იგი თვალისჩინევით უფრთხილდებოდა პარტიის ერთიანობას. პარტიის ღირსება მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო. „...დარწმუნებული იყავით, — სწერდა იგი ლენინს ერთ-ერთ წერილში,—რომ ჩვენ ყველანი დავიღუპებით უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ ჩვენი პარტიის ღირსებას არ შევარცხვენთ გაქცევით“. როცა ლენინის გარდაცვალების შემდეგ ტროცკისტ-ბუხარინელი გარეწრები ყოველი მხრიდან უტევდნენ პარტიას და ცდილობდნენ გაეთშათ მისი რიგები, სერგო ორჯონიკიძე,—საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი, დაუნდობლად ამეკვეთებდა და ანადგურებდა პარტიის მტრებს, იცავდა პარტიის სიწმინდეს და ერთიანობას.

სტალინური ხუთწლედების გახორციელებისათვის ბრძოლის პერიოდში მთელი ძალით გამომეკვეთა სერგო ორჯონიკიძის, როგორც მძიმე მრეწველობის ორგანიზატორისა და მშენებლის ბრწყინვალე ნიჭი. იგი მთელი რიგი წლების განმავლობაში სათავეში ედგა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სტალინურ წინასწარდასახულობათა განხორციელებას. „...საბჭოების ქვეყნის სამეურნეო ხელმძღვანელთა შორის, — ამბობს ამხანაგი ვ. ვ. მოლოტოვი,—არ არსებობს სხვა ისეთი სახელი, რომელიც ისე მჭიდროდ, ისე განუყრელად იყოს დაკავშირებული სოციალისტური ინდუსტრიის გადამწყვეტ გამარჯვებებთან, როგორც სერგო ორჯონიკიძის სახელი“.

ს. ორჯონიკიძე სამეურნეო მუშაკებს, მეშრეს, ყველა მშრომელს უნერგავდა მუშაობის ბოლშევიკურ სტილს, ასწავლიდა მათ გამოენახათ და მთლიანად გამოეყენებინათ ყველა რეზერვი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ტემპების დასაჩქარებლად. როცა სტახანოვური მოძრაობა წარმოიშვა, სერგომ მაშინვე შეაფასა მისი უდიდესი მნიშვნელობა კომუნიზმის გამარჯვების საქმეში. სტახანოველები სერგოს ყოველდღიურ ზრუნვასა და დახმარებას გრძნობდნენ. ამიტომ უწოდებდნენ მას სტალინური ეპოქის შეანიშნავ ადამიანთა — სტახანოველთა მამას.

სერგოს შესანიშნავი პირადი თვისებები, უბრალოება და თავმდაბლობა, ადამიანისათვის ზრუნვა, ლენინ-სტალინის საქმისათვის თავდადება მას ხდიდა ყველა მშრომელის საყვარელ ადამიანად.

ლენინ-სტალინის პარტიის ღირსეული შვილის, ლენინურ-სტალინური ტიპის სახელმწიფო მოღვაწის — სერგო ორჯონიკიძის ცხოვრებისა და ბრძოლის მაგალითით სწავლობს და მომავალშიც ისწავლის ჩვენი ახალგაზრდობა სამშობლოსადმი ერთგულებას და თავდადებას.

ბრ. მსხილაძე

პრინციპული ბოღშევიკური კრიზიკისათვის

(თათბირი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში)

გაზეთების „პრავდისა“ და „კულტურა ი ჟიზნის“ სარედაქციო სტატიების, რომლებმაც ამხილეს თეატრალურ კრიტიკოსთა ერთი ჯგუფის ანტიხალხური, ანტიპატრიოტული საქმიანობა, საბჭოთა საზოგადოებრიობა უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა. საქართველოს საბჭოთა მწერლებს კავშირში კრიტიკოსთა, დრამატურგთა, პოეტთა, პროზაიკოსთა და თეატრალურ მუშაკთა თათბირზე ორ დღეს მიმდინარეობდა ამ სტატიებისა და მათგან გამომდინარე ამოცანების განხილვა.

მომხსენებელმა — კრიტიკოსთა სექციის თავმჯდომარემ ამხ. გ. ნატროშვილმა წაიკითხა ტექსტი „პრავდის“ სტატიისა „თეატრალური კრიტიკოსების ერთი ანტიპატრიოტული ჯგუფის შესახებ“ და აღნიშნა ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს ამ გამოსვლის დიდი პრინციპული მნიშვნელობა.

— ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი, — თქვა მომხსენებელმა, — ყოველდღიურად ზრუნავენ საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებისათვის, რომლებიც მოწოდებული არიან კომუნიზმის სულისკვეთებით აღზარდონ ჩვენი ხალხი. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა იდეოლოგიურ საკითხებზე თავის ისტორიულ დადგენილებებში მოგვცა უიდეობისა და ესთეტიკურობის წინააღმდეგ ბრძოლის, მაღალიდეური ბოლშევიკური პარტიულობით გამსჭვალული ხელოვნებისა და ლიტერატურისათვის ბრძოლის პროგრამა. პარტიული პრესის სტატიები თეატრალური კრიტიკის შესახებ საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის ბედისათვის პარტიის ზრუნვის ახალი გამოვლენებაა.

თეატრალური კრიტიკოსი კოსმოპოლიტებმის, უსინდისო ცილისმწამებლების, უგვარტომო ადამიანების ჯგუფი — ფუზოვსკი, გურვიჩი, ბოროშჩაგოვსკი, ბოიაჯიევი, ალტმანი, ვარშავსკი, მალიუგინი, ხოლოდოვი და მათი მსგავსნი გამომეღაენებული და განადგურებული არიან.

„პრავდის“ სტატიაში წამოყენებული საკითხები აქტუალურია ქართული თეატრალური და ლიტერატურული კრიტიკისთვისაც, რომელსაც სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე აღნიშნა, რომ ლიტერატურული კრიტიკა დღემდე ქართული ლიტერატურის ჩამორჩენილი უბანია. რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე ნაკლებად ბეჭდება კრიტიკული სტატიები. „გაზეთებს რატომღაც თავიანთი ვალად მიაჩნიათ, — თქვა ამხანაგმა ჩარკვიანმა, — კრიტიკული სტატიები დაბეჭდონ მხოლოდ იმ წიგნების შესახებ, რომლებიც უარყოფით შეფასებას იმსახურებენ, კარგ წიგნებზე კი ჩვეულებრივ არაფერი არ იწერება. გამოდის, რომ ჩვენ მკითხველთა ყურადღებას მივაყრობთ მარტო მაგნე და სუსტ გამოცემებზე“.

ჩვენში განსაკუთრებით ჩამორჩება თეატრალური კრიტიკა, რომელსაც აკლია სიახლის გრძნობა და განზოგადების ძალა. ბევრი თეატრალური რეცენზია შტამპით კეთდება, მოკლებულია პუბლიცისტურ მგზნებარებას, ნაკლებად ხვდება ბალიხველის გულს.

ჩვენი ლიტერატურის ახალ მოვლენებს გვერდს უვლის ლიტერატურული კრიტიკაც. საკმარისია აღინიშნოს, რომ დღემდე არც ერთი კრიტიკული ნაშრომი არ მოგვეპოვება ვ. ლეონიძის პოემა „სტალინის“ შესახებ, რომელსაც სტალინური პრემია მიენიჭა. კრიტიკამ დუმილით აუარა გვერდი ქართველი პროზაიკოსების რიგეულ ნაწარმოებთა კრებულს და მთელ რიგ სხვა მნიშვნელოვან წიგნებს. თქმა არ უნდა, რომ ლიტერატურული მოვლენებისადმი კრიტიკის ასეთი დამოკიდებულება არასწორ წარმოდგენას ქმნის ჩვენს ლიტერატურაზე.

ქართული თეატრალური და ლიტერატურული კრიტიკის ამოცანაა დროულად გამოეხმაუროს ყოველ ახალ დადგმას, ახალ წიგნს, აღფრთოვანებით, ნამდვილი პატრიოტული სიამაყით, მთელი ხმით ილაპარაკოს ჩვენი ხელოვნების, ლიტერატურის წარმატებებზე, მხურვალე პროპაგანდა გაუწიოს ყოველივე იმ ახალს, მნიშვნელოვანს, დადებითს, რაც ქართულ ხელოვნებასა და ლიტერატურაში იქმნება.

მოხსენების შემდეგ გაჩაღდა გაცხოველებული კამათი. მწერლებმა, კრიტიკოსებმა, მსახიობებმა, რეჟისორებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიული პრესის სტატიები, რომლებმაც გაანადგურეს ღვარძლიანი ფორმალისტი კრიტიკოსები, ადამიანები, რომლებიც ჩვენდამი მტრული ბურჟუაზიული რეაქციული გავლენის გამტარებელნი იყვნენ. ორატორებმა თავიანთ სიტყვებში გამოაჯარეს ქართული თეატრალური და ლიტერატურული კრიტიკის სერიოზული ნაკლოვანებანი.

ამხ. ი. წულუკიძემ დაწვრილებით ილაპარაკა საქართველოს კრიტიკოსების მიერ გაწეულ მუშაობაზე და აღნიშნა, რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ გამორჩა კრიტიკას, კერძოდ, იდეოლოგიური ფრონტის ისეთი მნიშვნელოვანი უბანი, როგორიცაა საბავშვო ლიტერატურა.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი ამხ. ა. ვასაძე ამბობს, რომ დროული, მართალი ბოლშევიკური კრიტიკა ჰაერივით ესაჭიროება თეატრს. როცა კრიტიკოსი დაჯილდოებულია სიახლის გრძნობით, უნარი შესწევს დაინახოს ჩვენი გმირული სინამდვილე და მისი გასვითარება, მას შეუძლია ფასდაუდებელი სამსახური გაუწიოს თეატრალურ ხელოვნებას. მაგრამ ზოგჯერ სწორედ ეს თვისებები აკლიათ ჩვენს კრიტიკოსებს.

ამხ. დ. ჯანელიძემ აღნიშნა: ქართული თეატრალური კრიტიკის დიდ ნაკლად ის უნდა ჩაითვალოს, რომ იგი ვერ ამჩნევდა საქართველოს რაიონებში მომუშავე ახალ ნიჭიერ მსახიობებს, რომლებიც წინ სწევენ ჩვენს სასცენო ხელოვნებას. კრიტიკულ ლიტერატურაში სათანადო შეფასება ვერ ჰპოვა აგრეთვე თბილისის თეატრების წამყვან მსახიობთა მუშაობამ, რომლებმაც შექმნეს საბჭოთა ადამიანების ბრწყინვალე, მომხიბლველი სახეები. ნორმალურად არც ის ჩაითვლება, რომ კრიტიკა დუმილით უვლის გვერდს პ. ქაჯაბაძის, ს. შანშიაშვილის, ს. კლდიაშვილის, კ. კალაძის ცალკე წიგნებად გამოსულ დრამატულ ნაწარმოებებს.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი ამხ. შ. დამბაშიძე აყენებს საკითხს, რომ საჭიროა შეიქმნას სრულფასოვანი კრიტიკული ლიტერატურა ქართული კლასიკური დრამატურგიის შესახებ, შეიქმნას თანამედროვე მოთხოვნათა შესაფერისი ლიტერატურა.

თეატრის და დრამატურგების ურთიერთობის საკითხებს მიუძღვნა თავისი სიტყვა ამხ. პ. ბახტურიძემ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებლად საჭიროა მათი ერთობლივი შემოქმედებითი მუშაობა.

ჩვენი კრიტიკოსებისა და ლიტერატურათმცოდნეების უმეტესობა, — თქვა ამხ. ბ. ყიფლტმა, — ქართული ლიტერატურის საბჭოებამდელ პერიოდს იკვლევს. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ განსაკუთრებული მიღწევები არც ამ დარგში გვაქვს. თანამედროვე ქართული ლიტერატურა კი ჯერ კიდევ ელის თავის მკვლევართ და პროპაგანდისტებს. ჩვენ სერიოზულად უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მოვიზიდოთ და აღვზარდოთ თეატრალურ და ლიტერატურულ კრიტიკოსთა ახალი კადრები.

— როცა ქართული საბჭოთა კრიტიკა, — ამბობს ამხ. ა. გომიაშვილი, — ვერ ამჩნევს ისეთ დიდ მოვლენებს, როგორიცაა ქართულ ენაზე გამოქვეყნება რუსული პოეზიის ანთოლოგიისა უმეცლესი დროიდან ჩვენს დრომდე და ქართული საბჭოთა პოეზიის კრებულისა, რაც მრავალი წლის დიდი შემოქმედებითი მუშაობის შედეგს წარმოადგენს, ესეც ერთგვარად გამოხატავს ორაპატრიოტულ დამოკიდებულებას ჩვენი ლიტერატურისადმი. ამას რაც შეიძლება მალე უნდა მოეღოს ბოლო.

თათბირზე გამოვიდნენ აგრეთვე ამხანაგები ი. ვაკელი, ს. ეული, ა. მიქელაძე, ა. ფალავა, ვ. პატარაია, გ. ბერძენიშვილი.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ს. ჩიქოვანმა, რომელიც თათბირის დასასრულს გამოვიდა, აღნიშნა: — ჩვენი კრიტიკის ჩამორჩენა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩამორჩება ჩვენი ლიტერატურაც, ხელოვნებაც, რომლებსაც აქვთ თვალსაჩინო წარმატებანი. შეუწყნარებელია, რომ კრიტიკოსები ხელოვნებისა და ლიტერატურის დადებითი მოვლენების გარჩევისას იმ გულმოდგინებას არ იჩენენ, რომლითაც ისინი ჩვეულებრივ აკრიტიკებენ სუსტ ნაწარმოებებს. განსაკუთრებით შეუწყნარებელია კრიტიკის გულგრილი დამოკიდებულება იმ მწერლებისადმი, რომლებიც ლიტერატურაში ამ ცოტა ხნის წინათ გამოჩნდნენ.

— გაზეთების „პრავდისა“ და „კულტურა ი ჟიზნის“ სტატიები, — ამბობს დასასრულ ამხ. ს. ჩიქოვანი,—დაეხმარება ჩვენს კრიტიკას განთავისუფლდეს ნაკლოვანებებთაგან, მკაფიოდ, დამჯერებლად გასწიოს ქართული საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის მიღწევების პროპაგანდა, ქედითად შეუწყოს ხელი მათს წინსვლას.

ზოგიერთი გამოსვლის ნაკლი ის იყო, რომ ორატორები შორიახლო უვლიდნენ აღძრულ საკითხებს, ერთობ ზოგადად, არაკონკრეტულად ლაპარაკობდნენ. არავის დაუსახლებია არც ერთი იმ კრიტიკოსის გვარი, რომლებმაც შეცდომები ჩაიდინეს თეატრალურ დადგმათა და ქართული საბჭოთა დრამატურგის ნაწარმოებთა შეფასებაში.

კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც საუსნით შეუერთდა თეატრალურ კრიტიკოსთა ჯგუფის ანტიპატრიოტული საქმიანობის შეფასებას, რაც მოცემულია გაზეთების „პრავდისა“ და „კულტურა ი ჟიზნის“ სტატიებში. რეზოლუციაში დასახელია ლონისძიებანი, რომლებიც მიმართულია ამისაკენ, რომ აღმოიფხვრას თეატრალური და ლიტერატურული კრიტიკის ნაკლოვანებანი.

პაჭრიოჭული ფილმი

მოსკოვის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის „მოსფილმის“ ახალი მხატვრული ფილმი „ღირსების სამსჯავრო“*) დიდი ამაღელვებელი ძალით გადმოგვცემს ჩვენი მეცნიერი მუშაკების ბრძოლას საბჭოთა მეცნიერების პრიორიტეტისათვის, მისი ღირსებისა და დიდებისათვის. ეს ფილმი საბჭოთა პატრიოტიზმის სულით გამსჭვალული მაღალმხატვრული ნაწარმოებია და თავისი ღრმა იდეური შინაარსით ამდიდრებს საბჭოთა მაყურებლის სულიერ სამყაროს.

ფილმის პირველ კადრებში მაყურებლის თვალწინ იშლება მოსკოვის დიადი პანორამა. მოსკოვი მრავალეროვანი ძლევამოსილი საბჭოთა კავშირის ქალაქი, ახალი ეპოქის მედროშეა.

ეკრანზე მოჩანს საბჭოთა მეცნიერების შტაბი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, ლაბორატორიები. ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა თავარობის მზრუნველობით შექმნილნი ყველა პირობა მეცნიერთა შემოქმედებითი შრომისათვის. აქ, ამ ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში თავდადებულ შრომას ეწევიან საბჭოთა მეცნიერები.

ბიოქიმიის პროფესორი დობროტვორსკი ცდებს აწარმოებს ახალი სამედიცინო პრეპარატის შესაქმნელად. პროფესორ ლოსევთან ერთად მან დიდ წარმატებას მიაღწია. მაგრამ მალე ირკვევა, რომ საბჭოთა მეცნიერების ეს წარმატებანი უკვე ცნობილია ამერიკის ფირმებისათვის. პროფესორმა ლოსევმა ამერიკაში მოგზაურობის დროს გაჰყიდა სამშობლოს ინტერესები და ამერიკულ რეაქციულ ჟურნალს გადასცა ცნობები ახალი პრეპარატის შესახებ.

სამედიცინო აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე საბჭოთა მეცნიერები აღშფოთებული ხვდებიან ლოსევის საზიზღარ მოქმედებას.

აკადემიკოსი ვერეისკი საკითხს სვამს ლოსევის ანტიპატრიოტული და სამარცხვინო მოქმედების შესახებ.

პროფესორი დობროტვორსკი არ იზიარებს თავის მეგობრის, აკადემიკოს ვერეისკის აზრს. დობროტვორსკი ნიჭიერი მეცნიერია, მაგრამ ცუდად ერკვევა პოლიტიკაში. მისი აზრით პოლიტიკას არავითარი კავშირი არა აქვს მეცნიერებასთან. მას ბრმად სჯერა, რომ მხოლოდ „სახელმწიფოფის“ აქვთ საზღვრები, ხოლო მეცნიერებას ისინი არა აქვს“. დობროტვორსკის არ ესმის, რომ „მეცნიერული“ კოსმოპოლიტიზმი იმპერიალისტური რეაქციის აგრესიული პოლიტიკის შენიღბვაა. იგი იმ ადამიანების რიცხვს ეკუთვნის, რომელთა შესახებ ამხანაგმა მოლოტოვმა აღნიშნა: „ჩვენში ჯერ კიდევ ყველა რიგი განთავისუფლებული დასავლეთის წინაშე, კაპიტალისტური კულტურის წინაშე ქედის მოხრისა და მონური მორჩილებისაგან“.

ფილმში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, თუ სადამდე შეუძლია მიიყვანოს ადამიანი კაპიტალისტური კულტურის წინაშე ქედის მოხრასა და მონურ მორჩილებას.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მეცნიერება გადაქცეულია ადამიანთა დამონების იარაღად, იმპერიალისტური აგრესიის იარაღად.

ამერიკელი პროფესორი კარტერი სამედიცინო პრეპარატების კომპანიის მონაა. ყველა მისი აღმოჩენა და გამოგონება ამ ფირმას ეკუთვნის.

ამერიკელი ბატონების დავალებით კარტერი ჩვენს ქვეყანაში ჩამოდის. მეცნიერ მუშაკთა ნიღბით მას თან ახლავან ამერიკის დაზვერვის აგენტი—ეუდი და სადაზვერვო სამსახურის განყოფილების უფროსი — უილმი. მათი მიზანია ხელში ჩაიგდონ ცნობები საბჭოთა ინსტიტუტში შექმნილი ახალი პრეპარატის შესახებ.

მოღალატე ლოსევი ხელს უწყობს მათ. პროფესორი დობროტვორსკი თავის მეცდარ შეხედულებათა შედეგად საიდუმლო ლაბორატორიის კარს უღებს ამერიკელ ჯაშუშებს. მხოლოდ ინსტიტუტის თანამშრომელი ქალი გადაარჩენს მეცნიერულ საიდუმლოებას,—განზრახ გასტეხს იმ ხელსაწყოს, რომელშიც ახალი პრეპარატის მომზადება წარმოებს.

ამერიკელი ჯაშუშები კვლავ ცდილობენ მიაღწიონ საკარო ცობების მიღებას. პროფესორი დობროტვორსკი მზად არის „გამოცდილების გაზიარების“ მიზნით შეასრულოს მათი სურვილი. მაგრამ ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი პროფესორ კარტერს სთხოვს ჯერ მან აცნობოს მის მიერ აღმოჩენილი პრეპარატის რეცეპტურა, რომელიც აგრეთვე აინტერესებს საბჭოთა მეცნიერებს.

პროფესორი კარტერი აცხადებს, რომ მას არ შეუძლია საიდუმლოების გაცვლა, რადგან მისი აღმოჩენა ამერიკული ფირმის საკუთრებაა.

მგზნებარე პატრიოტი აკადემიკოსი ვერეისკი ცდილობს დაუზმაროს პროფესორ დობროტვორსკის, შეაგნებინოს მისი ბრალეულობის მთელი სიღრმე. მას უჩვენებენ ამერიკულ ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკას“, სადაც დაბეჭდილია წერილი ბაქტერიოლოგიური ომის შესახებ, შავი ჭირითა და პარატიფიანი ტიფით აღამიანთა დაავადების შესახებ. ჭკვლელობის მეცნიერება—ეი რაზე იხარჯება მილიონობით დოლარი ამერიკაში. გაწერთნილი ჯაშუშები იმიტომ მოვიდნენ ოკეანის გადაღმიდან, რომ ხელში ჩაიგდონ საბჭოთა მეცნიერების შრომის ნაყოფი და შემდეგ გამოიყენონ თავიანთი ბოროტი მიზნებისათვის.

დობროტვორსკის არ ესმის მეცნიერისა და მეგობრის ვერეისკის სიტყვები. ამას იგი იღებს თავისი პიროვნების შეურაცხყოფად.

ლოსევისა და დობროტვორსკის აღმაშფოთებელი მოქმედების შესახებ საკითხს სვამენ კომუნისტები — ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები. საქმის შესასწავლად იქმნება მთავრობის კომისია.

ფილმის იდეური და მხატვრული აპოთეოზია საზოგადოებრივი ბრალმდებლის აკადემიკოს ვერეისკის საბრალდებო სიტყვა ღირსების სამსჯავროზე. იგი ბრალს სდებს იმათ, ვინც დაავიწყა ეროვნული სიამაყე, უღალატა თავისი ხალხისა და საშობლოს ინტერესებს. „მთელი კაცობრიობა ჩვენ შემოგაცქერის, ჩვენ ვართ მისი სინიდისი, მისი იმედი“,—მიმართავს ვერეისკი საბჭოთა მეცნიერებს.

ღირსების სამსჯავრომ დაღუპვას გადაარჩინა პროფესორი დობროტვორსკი, შეაგნებინა მას საშობლოსა და ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაული და კვლავ დააბრუნა საბჭოთა მეცნიერების რიგებში, ხოლო ხალხის მტრის ლოსევის საქმე სათანადო ორგანოებს გადაეცა.

ფილმი „ღირსების სამსჯავრო“ დიდი აღმრთელობითი მნიშვნელობის მაღალმხატვრული ნაწარმოებია. მის წარმატებას ხელს უწყობს მსახიობთა შესანიშნავი თამაში.

აკადემიკოს ვერეისკის როლს დიდი ოსტატობით ასრულებს მსახიობი ბ. ჩირკოვი. მისი სახით ჩვენ ვხედავთ ნამდვილ საბჭოთა მეცნიერს, საშობლოს მგზნებარე პატრიოტს, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს საბჭოთა მეცნიერება და თავისი ხალხი.

კარგად ასრულებს პროფესორ დობროტვორსკის რთულ როლს მსახიობი ნ. ახენკოვი. საბჭოთა ექიმი ქალის (პროფესორ დობროტვორსკის ცოლი) მიმზიდველ სახეს ქმნის ო. ჟიზნევა.

ლოსევნშავია ლოსევის როლში ნ. სვობოდინი. მსახიობი დამაჯერებლად იძლევა მორალურად დაცემული ადამიანის, მოხერხებული და შენიღბული მტრის სახეს.

კარგად ასრულებენ როლებს მსახიობები: გ. ჩორნოვოლენკო (ეუდი), ა. ცინმანი (უილმი), ს. მეეფისკი (კარტერი).

მაყურებელს ღრმად რჩება ხსოვნაში მ. შტრაუხის მიერ შექმნილი მთავროობის კომისიის თავმჯდომარის სახე.

საუკეთესოდ განასახიერებენ საბჭოთა პატრიოტიზმით გამსჭვალულ მეცნიერთა აზალგაზრდა თაობას — მსახიობები ე. სამოილოვი (ნიკოლოზი), ა. მაქსიმოვი (ოლეგ), ვ. მაკაროვი (კირილოვი), ნ. პერეგუდრნეი (პეტრენკო).

ფილმი „ღირსების სამსჯავრო“ საბჭოთა კინემატოგრაფიის ახალი „გამარჯვებაა.

ნ. შველიძე

*) ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის „მოსფილმის“ ნაწარმოები. სცენარი ა. შტეინისა, დადგმა ა. რომის, რეჟისორი ტ. ლუკაშევიჩი, ოპერატორი ა. გალპერინი, მხატვრები მ. ბოგდანოვი, ბ. კისელოვი, კომპოზიტორი ლ. შვარცი.

რაჭომ არ გზავნიან ახალ კინოსურათებს?

ზემო სვანეთის რაიონულ ცენტრ მესტიასა და სოფელ ხაიშში აქვთ კინოდანადგარები. მიუხედავად რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების არაერთგზისი მოთხოვნისა, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სამინისტროში რატომღაც უგზოობას იმიზეზებენ და ზამთრობით სრულებით არ გზავნიან ახალ კინოსურათებს ზემო სვანეთში. ამის გამო თითქმის 4-5 თვის განმავლობაში ახალ კინოსურათებს აქ ვერ უჩვენებენ.

მართალია, ზამთრობით ზემო სვანეთში მგზავრობა გაძნელებულია, მაგრამ ახალი კინოსურათების გაგზავნა მაინც შეიძლება. ზუგდიდიდან ხაიშამდე და ხაიშიდან მესტიამდე დადის საფოსტო ტრანსპორტი, რომლითაც კინოსურათების გადაზიდვაც შეიძლება.

ზემო სვანეთში ახალი კინოსურათები სისტემატურად უნდა იგზავნებოდეს.

ვ. მესხია

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

დანაშაულებრივი დაუდევრობა

მახარაძის რაიონში ყოველდღიურად 2.300 ცალზე მეტი ბეჭდური „კომუნისტი“, 500 ცალამდე „ზარია ვოსტოკა“, აავე დიდძალი სხვადასხვა რესპუბლიკური და ცენტრალური ჟურნალ-გაზეთები მოდის.

კარგად იქეოდა ჟურნალ-გაზეთების რესპუბლიკური ექსპედიცია, როცა აღნიშნულ ჟურნალ-გაზეთებს სპეციალურ ტომრებში შეფუთვილ გზავნიდა. ამით უზრუნველყოფილი იყო მათი დაუზიანებლად მიღება, მაგრამ, ზამთრის განმავლობაში ექსპედიცია ჟურნალ-გაზეთებს შეუფუთავად გზავნის, რის გამო თოვლის და წვიმის დროს აქ ყოველდღე 40-50 და მეტი ცალი გაზეთი ისე ფუჭდება, რომ მათი წაკითხვა შეუძლებელია, ხოლო გაცილებით მეტი გაზეთი ნაწილობრივ ზიანდება.

რატომ ხდება ასე? რას იტყვიან ამაზე ჟურნალ-გაზეთების რესპუბლიკური ექს

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის შესახებ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა

ვარშავა, 15 თებერვალი. (საკადრო). დღეს ვარშავაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა პოლონეთში ვ. ლებედევმა და პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზ. მოძელეესკიმ კაცვალეს სარატიფიკაციო სიგელები საბჭოთა კავშირ-პოლონეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის შესახებ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულებისა, რომელიც ხელმოწერილია მოსკოვში 1948 წლის 8 ივლისს და რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1949 წლის 20 იანვარს, ხოლო პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ 1948 წლის 23 დეკემბერს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლას დაესწრნენ: საბჭოთა მხრივ — სსრ კავშირის საელჩოს პირველი მდივანი ვ. დლუგინსკი და სსრ კავშირის საელჩოს ატაშე ი. სტეპანოვი; პოლონეთის მხრივ — საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ვ. სობერსკაია, საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული ბიუროს დირექტორი მ. ლიაშუკი და საგარეო საქმეთა სამინისტროს საბჭოთა განყოფილების უფროსი მ. კოდრონი.

რუმინეთის სახალხო-ეროვნული პარტიის თვითდაშლა

ბუქარესტი, 15 თებერვალი. (საკადრო). გაზეთი „ნაციონალი“ აქვეყნებს სახალხო-როვნული პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციას, რომელიც მიღებულია ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 6 თებერვლის პლენარულ სხდომაზე.

აღნიშნავს რა, რომ პარტიამ, რომელიც მოსახლეობის საშუალო ფენებს აერთიანებს, შეასრულა მის წინაშე დასახული ამოცანა — მხარი დაეჭირა მუშათა კლასის ბრძოლისათვის მზაგვრელთა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, ბრძოლისათვის რუმინეთში სახალხო დემოკრატიული წყობილების განმამტკიცებლად, ცენტრალური კომიტეტი აცხადებს თავის გადაწყვეტილებას სახალხო-ეროვნული პარტიის თვითდაშლის შესახებ.

სახალხო-ეროვნული პარტიის წევრი დეპუტატები დიდი ეროვნული კრების წევრებად რჩებიან როგორც უპარტიო დეპუტატები.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი რწმენას გამოთქვამს, რომ მოსახლეობის საშუალო ფენები ახალ პირობებში უფრო გაბედულად და თავგადასავლიანი მეტი ნდობით განაგრძობენ თავის მოვალეობას სახალხო დემოკრატიის წყობილების განმამტკიცებლად და იბრძოლებენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

ბევინისა და ლანგეს შეხვედრის გამო

ლონდონი, 15 თებერვალი. (საკადრო) როგორც რეიტერის საგანგებო კორესპონდენტი ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოაქვეყნებს ინგლისელი ბანკირის ალ ბოლამპიაკის შესახებ, რაც 14 თებერვალს ლონდონში წარმოებდა ბევინსა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრ ლანგეს შორის.

როგორც კომენტიერდან ცხადი ხდება, მოლაპარაკების დროს განხილული იყო ჩრდილეთ ატლანტიკის პაქტის საკითხი.

რეიტერის საგანგებო აღნიშნავს, რომ ბევინი და ლანგე, როგორც ფიქრობენ, გარდა ამისა, განიხილავდნენ საკითხებს სკანდინავიის ქვეყნებისათვის ინგლისური იარაღის მიწოდებისა და ახლადშექმნილი ეფროპის საბჭოსადმი ნორვეგიის მიმხრობისა შესახებ.

საგანგებო სტატუსი, ბევინმა, როგორც ფიქრობენ, განაცხადა, რომ ჩრდილეთ ატლანტიკის პაქტი ნიშნავს ერთობლივ დგგეგმას, იარაღის მიწოდებასა და შეიარაღების სტანდარტიზაციას.

„ორმა სავარეო საქმეთა მინისტრმა—აღნიშნავს რეიტერის საგანგები. — როგორც ფიქრობენ, განიხილა პაქტში ეფროპის სხვა სახელმწიფოების, მაგალითად, იტალიის, მონაწილეობის მისაღებად მოწვევის შესაძლებლობა და ნორვეგიისათვის პაქტი ისეთი გაფართოების სტატუტგიული ზნაშენებისა. მან, შესაძლებელია, განიხილეს აგრეთვე სკანდინავიის სამი ქვეყნისათვის მომავალში ინგლისის მიწოდებათა საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ ეს შეუერთდეს თუ არა ნორეგეი. სკანდინავიის თავდაცვითს პაქტა ნაცვლად იმისა, რომ მონაწილეობა მიიღოს ატლანტიკის პაქტში“.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა ერთხელ კიდევ ჩაშალეს ბერლინის საკითხზე შეთანხმების შესაძლებლობა

პარიზი, 15 თებერვალი. (საკადრო). 14 იანვარს ეენეგაში სხდომები განაახლა ბერლინის საგანგებო და სავაჭრო საკითხების ექსპერტთა კომიტეტმა, რომელიც უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ შექმნა პარიზში. ამ დღეებში ექსპერტთა კომიტეტმა მუშაობა შეწყვიტა, რაც გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის მიერ კომიტეტის წინადადებათა უარყოფამ.

როგორც ცნობილია, ექსპერტთა კომიტეტმა, რომელიც შედგება არგენტინის, კანადის, კუბის, ეგვიპტის, ნორეგეგიისა და ჩინეთის წარმომადგენლთაგან, ჯერ კიდევ 1948 წლის დეკემბერში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ექსპერტთა უშეალო მონაწილეობით შეიმუშავა წინადადებანი იმ საკითხთა მოწესრიგების საფუძვლების შესახებ, რომლებიც დაკავშირებული ბერლინისათვის ერთიდერთ ვალუტად საბჭოთა ზონის გერმანული მარკის მმოქცევაში შემოღებასთან. ამ წინადადებათა შემუშავებისას ექსპერტთა კომიტეტი ითვალისწინებდა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს შორის 30 აგვისტოს შეთანხმებულ დირექტივას მთავარსარდლებისადმი, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის ექსპერტთა წინადადებებს, რომლებიც უშიშროების საბჭოს თავმჯდომარესა და ექსპერტთა კომიტეტს გაუკეთეს პარიზში ამ საკითხის განხილვის დროს. თავიანთ წინადადებებში, რომლებიც გასული წლის დეკემბერში ოთხი სახელმწიფოს ექსპერტებს გადაეცათ, კომიტეტი მხედველობაში იღებდა აგრეთვე ამ ცვლილებებს, რომლებიც ბერლინში მოხდა მას შემდეგ, რაც 1948 წლის სექტემბერში ჩაიფუშა ოთხი მთავარსარდლის მოლაპარაკება და რასაც ის მოჰყვა, რომ ბერლინში ალარ არის ერთიანები ფინანსური და მუნიციპალური ორგანოები.

14 იანვარს კომიტეტი ეენეგაში შეიკრიბა, რათა კომიტეტის წინადადების გამო ოთხი საბელჭოიფოს ექსპერტთა შენაშენების გათვალისწინებით მოემზადებინა ბერლინში საფულეტო და სავაჭრო საკითხების მოწესრიგების საბოლოო რეკომენდაციები. საბჭოთა ექსპერტმა პირველსავე სხდომაზე წარადგინა ოთხ ელოო ოთხ ელოო წარუდგინა კომიტეტს თავისი დაწერილებითი შენაშენები კომიტეტის ყველა წინადადების გამო. კომიტეტის მიერ შემუშავებული წინადადებანი საბჭოთა ექსპერტმა მიიწვა საბოლოო რეკომენდაციათა მომზადების მისაღებ საფუძვლად.

კომიტეტის წინადადებების მიმართ სულ სხვა პოზიციას დაადგა ამერიკის შეერთებული შტატების ექსპერტი. მის მიერ წარდგენილ წინადადებებში სულ უარყოფილ იქნა როგორც ოთხ მთავრობას შორის შეთანხმებული 30 აგვისტოს დირექტივა, ისე კომიტეტის ზემოაღნიშნული წინადადებანი, რომლებიც მან გასული წლის დეკემბერში შემოქმედა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ექსპერტების აქტიური მონაწილეობით. ამერიკის ექსპერტმა უარი თქვა წინადადებებზე, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების, „მხარს არ უჭერენ მესამე ინტერნაციონალს“ და არ მოეწოდებენ რევოლუციისაკენ.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო აგრეთვე იუწყება, რომ ოკუპაციის შტატის წარმომადგენლთა პალატამ განკარგულება გასცა დაუყოვნებლივ მიხდეს გამოკვლევა, რათა გამოიკვლენ—ოთან თე არა კომენტატები ოკუპაციის შტატის კერძო და სახელმწიფო სკოლების, და ლეონტიევის ბედგიგეორ პერსონალში.

ინგლისში შემცირდა კვების პროდუქტების მოხმარება

ლონდონი, 17 თებერვალი. (საკადრო). პრესასოშიეიშნის სააგენტოს ცნობით, ერთა ბრიტანეთში თანმიგდგომრობის ეკონომიური კომიტეტის ბიულეტენის თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული ცნობები ცხადყოფენ, რომ ინგლისში ომამდელ პერიოდთან შედარებით ძლიერ შემცირდა კვების ისეთი მნიშვნელოვანი პროდუქტების მოხმარება, როგორიცა: ხორცი, კარაქი, კვერცხი. მაგალითად, კარაქის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე 1948 წელს ერთიანად შემცირდა ომამდელ მოხმარებასთან შედარებით.

უნგრული გაზეთები უნგრეთში ამერიკის დიპლომატთა საქმიანობის შესახებ

ბუდაპეშტი, 15 თებერვალი. (საკადრო). გაზეთები „ნეფსაგი“ და „საბად სო“ აქვეყნებენ სტატიებს, სადაც აღნიშნავენ, რომ ამერიკის მისია ბუდაპეშტში დიპლომატიურ ნორმებს არღვევდა და უნგრეთში ძირგამოთხრილ საქმიანობას ეწეოდა. ამან აიძულა უნგრეთის მთავრობა მოეთხოვა ბუდაპეშტში ამერიკის შეერთებული შტატების დესპან ნეანინს გაწვევა.

„ნეფსაგი“ აღნიშნავს, რომ ამერიკელი ბოდაპოლოგიეთის კომპანიის საქმე, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ატაშეს ანარატი იმყოფება, ცხადყო, თე რას აკეთებდნენ ამერიკის წარმომადგენლები უნგრეთში. გაზეთი წერს, რომ მათ „თავიანთი დოლარები, თავიანთი ხელუხლებლობის უფლება გამოიყენეს ძირგამოთხრილი საქმიანობისათვის“. „ბუდაპეშტში ამერიკის მისიის,—წერს გაზეთი „საბად სო“,—და, პირველ რიგში, ჩეინინს ამოცანა ის იყო, რომ აღმოაჩინეთ ევროპიელ კათოლიკური ეკლესიის რეაქციულ ხელმძღვანელთა მეშვეობით საეკლესიო ორგანოები, ხოლო თუ შესაძლებელი იქნებოდა, კათოლიკეთა მასებიც ამმხედრებინათ დემოკრატიის წინააღმდეგ“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ახლა, როცა დადასტურებულია ჩეინინის როლი მინდსენტის გამეორეულ საქმიანობაში, არავის იქვი არ ეპარება ამაში, რომ უნგრეთის მთავრობის თხოვნა ამერიკის დესპანის გაწვევის შესახებ დასაბუთებელი და კანონიერია.

საბერძნეთში ეიზენჰაუერის ჩასვლისათვის

ათენი, 16 თებერვალი. (საკადრო). გაზეთი „ეერი“ იუწყება, რომ ახლო მომავალში მოელან ამერიკა ათენსა და ანკარაში გენერალ ეიზენჰაუერის ჩასვლას. გაზეთის აზრით, ეს მგზავრობა დაკავშირებულია „ჩამელთაშეა ზღვის ჰაქტის“ მომავალ ხელშოწერასთან, და ამიტომ ეიზენჰაუერი ეწვევა აგრეთვე რომს, რადგან „ამ შეთანხმების ბაზა იქნება ღერძი რომი-ათენი-ანკარა“. ეიზენჰაუერი, წერს „ეერი“, ანარეკლს ეროპულ ხმელთაშეა ზღვისპირა ქვეყნების სამხედრო შესაძლებლობანი და მოამზადოს საერთო შეგობა შექმნა. მაგალად ფასაეიენ ეკონომიური ეროპა ხეთი ქვეყნის შეგობა. „ეერი“ „ეროპა“ შეუკვნილ ენდა იქნას ამერიკელი გენერალი.

საბერძნეთის პროფკავშირთა ლიდერ პაპაპრიგასს სიკვდილით დასჯა მოელის

ათენი, 16 თებერვალი. (საკადრო). პოლიციის გამაკეთრებელმა განყოფილებამ საბერძნეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივნის პაპარიგასისა და კომუნისტთა ჯგუფის ფაქტ სამხედრო პროკურორს გადასცა საგანგებო სამხედრო სამართალში მთ: მისაცემად. მათ მიაწერეს „მორალურ პასუხისმგებლობას“ მინისტრ ლადასს. მოკვლისა და „სხვა დანაშაულობათათვის“. ბრალდების ხასიათიდან ჩანს, რომ ხელისუფალთ განზრახავთ აქვთ მოელ ჯგუფისათვის სასიკვდილო განაჩენი გამოტანინონ.

გასამართლება, როგორც ჩანს, მარტის პირველ ნახევარში მოხდება.

ინგლისის სამხედრო ხარჯების გაზრდება

ლონდონი, 16 თებერვალი. (საკადრო). რეიტერის საგანგო იუწყება, ინგლისის მთავრობის თეთრ წიგნში, რომელიც 15 თებერვალს გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ ინგლისი 1949-1950 წელს სამხედრო საჭიროებისათვის დახარჯავს 759.860.000 გირვანქა სტერლინგს, 1948-1949 წელს კი ხარჯავს 692.600.000 გირვანქა სტერლინგს.

ინგლისის შეიარაღებული ძალების რაოდენობა 1950 წელს 750.000 კაცს მიაღწევ?.

იაპონიის ახალი კაბინეტი

ტოკიო, 16 თებერვალი. (საკადრო). დღეს იაპონიის პრემიერ-მინისტრმა სიგეიერ იოსიდამ ახალი კაბინეტი შეადგინა. ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთა გარდა, კაბინეტში შეყვანილია მეორე ყველაზე დიდი კონსერვატიული პარტიის — „დემოკრატიულ“ ორი წარმომადგენელი.

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი იოსიდამ თავისთვის დაიტოვა.

ქალაქ მახარაძის სახავშვო ბაღის ახლად აგებული შენობა.

ფოტო რ. აკოფოვისა

თბილისის სამხაზეკრო აკადემიის პირველი სამეცნიერო სესია

18-23 თებერვალს თბილისის სამხატვრო აკადემიაში (გრიბოედოვის ქ. № 22) ჩატარდება პირველი სამეცნიერო სესია.

სესიაზე მოამზენელ იქნება შემდეგი მოხსენებები: 18 თებერვალს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ი. მელქაძე—„შეიარაღებული ბოლშევიკების საკითხი ი. ბ. სტალინის ანარნდელ შრომებში“; არქიტექტურის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი მ. ჩხიკვაძე — „ეროვნული ხუროთმოძღვრების ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის“.

19 თებერვალს: ხელოვნებისმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი კორესპონდენტი, პროფესორი შ. ამირანაშვილი—„ქართული ხელოვნებათმცოდნეობის განვითარების გზები და ამოცანები“; საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი პროფესორი უჩა ჯაფარიძე — „საბჭოთა ფერწერის განვითარების გზები და ამოცანები“.

21 თებერვალს: უფროსი მასწავლებელი ლ. სუქმანაძე — „ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრება და ნაციონალური მემკვიდრეობის თვისების პრობლემა“; ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი კ. ყიფშიძე—„ხელსაწყო არქიტექტურული პერსპექტივის მეკანიკური გეგმისათვის“; ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ა. ლოლაშვილი—„ნაყრები დაქანებული ქვის გარსები გადახურვისათვის“.

22 თებერვალს: ხელოვნებისმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ზ. მთსიტარაძე—„ქართული ანგობინინა კერამიკა XI-XIII საუკუნეებში“; დოცენტი ა. ფიცხელაური — „ანგობას ტექნიკა მხატვრულ კერამიკაში“.

23 თებერვალს: საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ი. შარლემანი—„მეხსიერებათა და წარმოდგენათა ხატვის საკითხები“; საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ს. ქობულია—„ხატვის სწავლების მეთოდიკის საკითხები“.

მიწისძვრა

17 თებერვალს, 9 საათზე, 25 წუთსა და 59 წამზე თბილისის დროით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის ცენტრალური სეისმური სადგურის სეისმოგრაფების მიერ ჩაწერილია მიწისძვრა, რომლის კერა თბილისიდან დაშორებულია 130 კილომეტრით.

მიწისძვრა თბილისში ალაგ-ალაგ ნაგრძობი იყო 3-4 ბალის სიძლიერით.

კავსოფელის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

18 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, მოამზსენებელთათვის შედგება დოცენტ **ვ. მელქაძის** სიინსტრუქციო მოხსენება თემაზე: **„საბჭოთა არმიის 31-ე წლისთავი და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება 28-ე წლისთავი“.**

ლექცია

21 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) საქართველოს სსრ პოეტიკერი და მეცნიერული ყოფნის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრის, პროფესორ **ი. ტალახაძის** ლექციის თემაზე: **„საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში“.**

საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატი

მეორე ტური

ბლაგიძე-ებრაელიძის თბილისის სამხატვრო აკადემიაში (გრიბოედოვის ქ. № 22) ჩატარდება პირველი სამეცნიერო სესია.

სესიაზე მოამზენელ იქნება შემდეგი მოხსენებები: 18 თებერვალს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ი. მელქაძე—„შეიარაღებული ბოლშევიკების საკითხი ი. ბ. სტალინის ანარნდელ შრომებში“; არქიტექტურის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი მ. ჩხიკვაძე — „ეროვნული ხუროთმოძღვრების ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის“.

19 თებერვალს: ხელოვნებისმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი კორესპონდენტი, პროფესორი შ. ამირანაშვილი—„ქართული ხელოვნებათმცოდნეობის განვითარების გზები და ამოცანები“; საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი პროფესორი უჩა ჯაფარიძე — „საბჭოთა ფერწერის განვითარების გზები და ამოცანები“.

21 თებერვალს: უფროსი მასწავლებელი ლ. სუქმანაძე — „ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრება და ნაციონალური მემკვიდრეობის თვისების პრობლემა“; ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი კ. ყიფშიძე—„ხელსაწყო არქიტექტურული პერსპექტივის მეკანიკური გეგმისათვის“; ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ა. ლოლაშვილი—„ნაყრები დაქანებული ქვის გარსები გადახურვისათვის“.

22 თებერვალს: ხელოვნებისმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ზ. მთსიტარაძე—„ქართული ანგობინინა კერამიკა XI-XIII საუკუნეებში“; დოცენტი ა. ფიცხელაური — „ანგობას ტექნიკა მხატვრულ კერამიკაში“.

23 თებერვალს: საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ი. შარლემანი—„მეხსიერებათა და წარმოდგენათა ხატვის საკითხები“; საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ს. ქობულია—„ხატვის სწავლების მეთოდიკის საკითხები“.

მეცხრე ტური

მეეხრე ტურში პირველი დამარცხება განიცადა შეჯიბრების ლიდერმა ფირცხალავამ, რომელმაც ცაიტნატში დაუშვა შეცდომა, რითაც კარგად ისარგებლა მასმა მოწინააღმდეგემ ბუსლაევმა; მან მოიგო ხარისხი და მალე პარტიაც. პარტიაში გიორგაძესთან ბლაგიძემ შეა თამაშში ხელი იგდო ინიციატივა, მოიყო ორი პიაკი და თარშიმდეგრეული თამაშით გამარჯვებას მიაღწია. თერქესტანაშვილი, რომელმაც სუსტად გითამაშა დებიუტი, დამარცხდა გერშკოვიჩთან. შიშოვ-ბალაშვილის პარტია სანტერესო ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა.

ორი პარტია გადაიდო. ებრაელიძეს შეუთამაშა სოროკინთან ადვილად მოსაგები პოზიცია ქონდა, მაგრამ ცაიტნატში დაუშვა შეცდომა. თუმცა გადადებულ პოზიციაში იგი ინარჩუნებს უპირატესობას, მაგრამ სოროკინს მიიწე ყაიმის ერთგვარი შანსები აქვს. ჯაკობია-გაჩეჩილაძის პარტია გადადებულია პირველის უპირატესობით. ასოფესი-ფალავანდიშვილის პარტია არ შემდგარა.

18 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, რაიკომის სხდომის დარბაზში (საბჭოს ქ. № 134) შედგება სპორტსმენთა ქ. ქ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის II პლენუმი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენის და განვითარების მესამე სახელმწიფო სესხის ანგარიშსწორების დამთავრებასთან დაკავშირებით საფარგო-დაფუძნებულებათა ხელმძღვანელები და მთავარი ბუღალტრები ვალდებულნი არიან:

საფუძვლიან დაამთავრონ სესხის მთელი ანგარიშსწორება ხელისმომწერლებთან 1949 წლის თებერვლის მეორე ნახევრის ხელფასის გაცემისას.

გადარიცხონ სახელმწიფო ბიუჯეტში სესხის მთელი დაქვითული თანხა.

დროულად მიიღონ შემნახველ სალაროში გადახდილ შესატანთა მთელი თანხის ობლიგაციები და ნაღაბონრ. ისინი ყველა ხელისმომწერს, სამეშაოდან წასულთა და დროებით სამსახურის ადგილას არმყოფთა ჩათვლით.

სოფლის საბჭოების რწმუნებულები სესხის დარგში ვალდებულნი არიან:

დაეუოუნებლივ დაამთავრონ ყველა გლეხისათვის სესხის ობლიგაციების ჩაბარება შენატანთა თანხის რაოდენობით.

სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის დამხმარე კომისიები სარეგმ.-დაფუძნებულებებსა და კოლმეურნეობებში ვალდებულნი არიან:

დაუწესონ კონტროლი ხელისმომწერთათვის ობლიგაციების ჩაბარებაზე და დაიბარონ ყველა ხელისმომწერს ბრძოლიდ ობლიგაციების დროულად მიღებაში.

ხელმოწერილ ობლიგაციებზე ბუხალტრები, აგრეთვე ხელისაწერამო-დაფუძნებულებათა ხელმძღვანელები და მთავარი ბუხალტრები, ანგარიშსწორების დროულად ნაბარების პასუხისმგებელი არიან სესხის ობლიგაციებისა და იმისათვის, რომ ყველა ხელისმომწერს დროულად ნაბარონ ობლიგაციები.

საქმაგრონის ხე-ტყის ტარის და საშენი მასალების დამზადების და რეალიზაციის ბაზა აცხადებს მოსახლეობისა და ორგანიზაციებს საყურადღებოდ, რომ იგი ნაღდ ანგარიშზე და გადარიცხვით ყიდიის: **დახბრნილ ხე-ტყის მასალას, ნაგვერდულს, ბაღლადს, ფანჯარის მინას, კრამიტის ტაქრს, ხალეს ტაქრს, ფანერას, ფანჯრის ჩარჩოებს, კასრებს, საყვავილებს, ოთხკუთხედ რკინას, სხვადასხვა ზომის წყლის მილებს, ავეროს, საპირფარეშო თასებს, პირსაბანის თასებს, ემალიან თუჯის ბაბანებს, სამზარეულოს ემალის თასებს, ეუოუბს, ცემენტს, კუთხოვან რკინას, სასალტე რკინას, სხვადასხვა ზომის მავთულს, სხვადასხვა ზომის ვარცლებს.**

ვაჭრობა წარმოებს დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე საცალო საპრეისკურანტო ფასებით.

მიიღება შეკვეთები ყოველგვარი სახის ყუთებზე (ტარაზე). ბითუმად ნებადართულია გასაყიდი საქონელი გაყიდოდეს გადარიცხვით.

გაყიდვას აწარმოებენ:

1. ცენტრალური საავჭრო ეზო, დიდუბე, სამტრედიის ქ. № 10.
2. საავჭრო ეზო № 1, სბერთათლო, სამხედრო გზა № 42.
3. საავჭრო ეზო № 2. კამოს ქ. № 14.
4. საავჭრო ეზო № 4, ბრძოლის ქ. № 47.
5. საავჭრო ეზო № 3, ნავთეული, გეგელიძეთის ქ. № 1.
6. მაღაზია № 5, ზეთგეტრეთის ქ. № 95.

თეატრებში

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — 18-II „დარეჯანი ცბიერი“ (13 ა. 8 წარმ.), 19-II **„ტრუბადური“** (10 ა. 8 წარმ.);

რუსთაველის სახელობის — 18-II „ლალატი“ (19 სერ. 6 წარმ.), 19-II **„პირველი ნაბიჯი“** (ა. გარეშე).

მარჯანიშვილის სახელობის — 18-II „ცეცხის მასწავლებელი“ (24 სერ. 6 წარმ.), 19-II **„ნინოშვილის გური“** (22 სერ. 6 წარმ.);

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — 18-II „ბზის დაბნელება“ (ა. გარეშე), 19-II **„ეშულ-მურად“** (ა. გარეშე).

მოგვაქვს **ზინაიდა ვიარჩესლავის ასულმა პოლუხინმა,** მცხოვრებმა ლენინის ქ. № 26, აღირა საქმე ვეძინის ქ. № 12 მცხოვრებ მოქალაქე **მიხეილ ალექსანდრეს ძე ზაალიშვილთან** გაგზორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მოგვაქვს **თევდორე პეტრეს ძე კაბოშინმა** მცხოვრებმა საგურამოს ქ № 10, აღირა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ეკატერინე ალექსანდრეს ასულ კარიაკინასთან** გაგზორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

მშობლები ლუბა ძინძიბაძე და გიორგი ჰაქსაშვილი, და ლანა ოუნუბანე, რომ 20-II, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნული **ვალერიკო გიორგის-ძე ჰაქსაშვილის** პანაშვიდი.

შვილები ნორა და ვიქტორ ჭოკენაძეები, სიძე მიშა ბაღდავიძე, რძალი ფატი თურქია შვილებით იუწყებიან, რომ 20-II, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნული **ივანეი ბერასიმეს ასულ და მიხეილ გიორგის-ძე ჭოკენაძეების** პანაშვიდი.

ბაბინე, ვალოდია, მარგო, ამირან კეკელიძეები, ვალენტინა, ალოშა დავთაიები, ელენე, გიორგი სათაშვილები, ქეთევნი, ხუტა სუდაიები იუწყებიან **მაკონე ეხვი ასულ შალიაშვილი-კეკელიძის** გარდაცვლებას. დაკრძალვა 20-II ალოფაზეში (ჩოხატაურის რაიონი).

მეუღლე ფეფლისა, შვილები მარო, თამარ, საშა, გრიშა ოჯახებით იუწყებიან **სამსონ ადმარალის-ძე მიქელაძის** გარდაცვლებას. დაკრძალვა 20-II სამტრედიაში, ძერეფსკის, 10

ვ. კალანდაძე, ი. სოხაძე, ე. მაჩიტაშვილი, ტ. ზაბაროვი, ი. მაჩალაძე, გ. ზუბაშვილი, თ. შენგელია, რ. ქრისტესიაშვილი, თ. ბიწინაძე, თ. მაქაძე თანაგრძნობას უცხადებენ ფ. ბრაგვაძეს მისი ძმის, **ალექსი დიმიტრის-ძე ბრაგვაძის** გარდაცვლებას გამო.

რაფდენ ჭიანტარაია და ალექსანდრე კოხრიეძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ს. ვლადიმერ და თამარ მგალობლიშვილებს მათი მამის **გიორგი იოსების-ძე მგალობლიშვილის** გარდაცვლების გამო.

ა. ჭილაია, გ. გაბედავა, ვ. კაკაბაძე, ქ ზოთნიაშვილი, მ. იოსელიანი, ქ. ჯიმა, თ. ჭეიშვილი, თ. მაისურაძე, კ. ეკიბაქეიე, თ. ჰაკლიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ვ. მირიანაშვილს მისი დედის **ბარბარე მირიანაშვილის** გარდაცვლების გამო.

შვილები დიმიტრი, მარო, თამარ, თინა, დოდო, ძმა გიგა ოჯახებთ, კატო, ალოშა, დათიკო, მარო ოჯახებით იუწყებიან **ილია ალექსანდრეს-ძე ზუმბულიძის** გარდაცვლებას. დაკრძალვა 20-II, 5 ს. ქ. ქუთაისში, კიროვის, 52.

ა. ჯიმშიაშვილი, ვ. მელქაძე, ვ. სიგეკა, ო. ტატიშვილი, ე. ალანია, ა. ლებანიძე, ა. ნიკიტენკო, ქ. ანთიძე, ი. ნოლიანინი, მ. ფაროკი, ვ. კალაძე, თ. ცხვედანი, ლ. მთვარაძე, ლ. გოგოლაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ვ. მირიანაშვილს მისი დედის **ბარბარეს** გარდაცვლების გამო.

და მარო, შვილები შალვა და ვიხტანგ, რძლები ლესია და მაშერა შვილებით იუწყებიან **ილია ალექსანდრეს-ძე ტატიშვილის** გარდაცვლებას. პანაშვიდი 18, 19-II, 7 ს გამოსვენება 20-II, 2 ს. თხინვალის შეაბეგეა, 11.

მეუღლე მელიტონ რევიშვილი, შვილი თამარ მეუღლით, და ელენე ხაჭაპურიძე, ძმა ბლატონ ჯაში, ცისანა და გიგი სერგოები ოჯახებით იუწყებიან, რომ 20-II, 3 ს. კუკიის სასაფლაზე დანიშნული **ეკატერინე მაქიმეს ასულ ჯაში-რევიშვილის** პანაშვიდი.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექცია, პარტკომი, ადგილკომი და თანაშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ს. მაკიეიკის მისი დედის **ოდგივ მაკიეიკის** გარდაცვლების გამო. დაკრძალვა 20-II, 2 ს. ორჯონიკიძის, 69.

მეუღლე ანდრო, დედა მაშო, ძმა ვალოდა, დები ზინა, კატო, რძლები, ქეთო რუხაძისა, ოლა ხორბალაძისა ოჯახებით იუწყებიან, რომ 20-II, 2 ს. ვაკის სასაფლაზე დანიშნული **ანანია ალექსანდრეს-ძის** პანაშვიდი.

მეუღლე თამარ, შვილები მაშა, მარგო, სიძე გიორგი სხალიძე, ძმები ადამ და გიორგი, და სონა ოჯახებით იუწყებიან **ხერგი იასონ-ძე ჯარანშვილის** გარდაცვლებას. პანაშვიდი, 18, 19-II, 7 ს. გამოსვენება 20-II, 3 ს. ორჯონიკიძის, 115.

შვილები კოტე, ვასო, ალექსანდრე, ოლო, რძლები მარო, ნინო, ეთერ, მანანა მარიანაშვილები, სიძეები ი. დარბაშვილი, შ. ვასარელი იუწყებიან **ბაბე დავითის ასულ მარიანაშვილის** გარდაცვლებას. დაკრძალვა 20-II ს. ანაგაში (სოღანაღის რაიონი).

ალიოშა საჯაია ოჯახით, მადიკო, ლეგარ, თეკლე, მარიამ, ნესტორ კობახიძეები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ვ ბგალობლიშვილს მისი მამის **გიორგის** გარდაცვლების გამო.

თბილისის ეკონომთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექცია, პარტბიურო და ადგილკომი იუწყებიან ეკონ ზ. მგალობლის დედის **სონია ანტონის ასულ მგალობლის** გარდაცვლებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანაშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ვ. მკალობლიშვილს მისი მამის **გიორგი მგალობლიშვილის** გარდაცვლების გამო.

შვილი ლისა შვილებით: რაისა, ანეტა, ვალიკო, გრიშა, ალოშა და ლიდო რამენაველები ოჯახებით იუწყებიან **მაკონე შალიკაშვილი-კეკელიძის** გარდაცვლებას. დაკრძალვა იანეულში (ჩოხატაურის რაიონს).

შვილი ვლადიმერ, რძალი ნინო, შვილიშვილები ოთარ და ზაარა ქვილითაიები იუწყებიან **გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ქვილითაიას**